ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა 1 თებერვალი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 4

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 4

საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ 1 თებერვალს 1 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი ჟურნ. „ნაკადულის“ დამაარსებლის და მისი მოამაგე რედაქტორის

მარიამ ივანეს ასული დემურიას

გარდაცვალების დღიდან ათი წლის შესრულების აღსანიშნავად.
(363 2—2)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: დავით და ნატალია, ძმები: გიგა, ვანო და იოსები, რძლები: ვარო, თამარა და სოფიო, ძმისწული ლიდა ტუხაშვილები და დაობლებული კატუშა გვრიტიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მ. წ. თებერვლის 1 დღით კვირას გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი კუკიის წმინდა ნინოს ეკლესიაში

ანეტა დავითის ასულის გვრიტიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება ჩვეულებრივ დროს, პანაშვიდი კი 12 საათზე. (356 2—2)

გულდათუთქული მშობლები: მიხეილ და ლიუდმილა გაჩეჩილაძეები, დეიდა ელენე, მამიდა ელენე, ძმები: აბო და სამსონი გაჩეჩილაძეები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს საყვარელი

მარუსას

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზესტაფონში 1 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (383 1—1)

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის სომეხთა სექცია ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ამხანაგის ექიმი

მიხეილ ალექსანდრეს ძე მღებროვის

გარდაცვალებას ქ. ქუთაისში 29 იანვარს. დაკრძალვა კვირას, 1 თებერვალს ნაშუადღევის 3 საათზე, გამოსვენება საკუთარი სახლიდან, სარაჯიშვილის (ყოფილი პოლიციის) ქუჩა. (369 1—1)

ქუთაისის სომეხთა გიმნაზიის სასკოლო კომისია გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუღალავი და ძვირფასი თანამშრომელი ექიმი

მიხეილ ალექსანდრეს ძე მღებროვი

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 1 თებერვალს, ნაშუადღევის 3 ს. საკ. სახლიდან (სარაჯიშვილის ქ.) საფირჩხიის სასაფლაოზე.
(369 1—1)

ექიმი ივანე ვასილის ძე დემურია აუწყებს ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 1 თებერვალს (ახ. სტ.) 1 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი საყვარელი ქალის

მარიამ ივანეს ასულ დემურიას

დღიდან გარდაცვალებისა ათი წლის შესრულების აღსანიშნავად.
(371 1—1)

1920 წ. 1 თებერვალს ქ. თბილისში, წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

მიხა ივანეს ძე კვერნაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მიცვალებულის ქვრივი მაკრინე ჩიჩუას ასული კვერნაძისა. (335 1—1)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს

აგრარულ რეფორმათა განყოფილება ამით იწვევს თიანეთის სამაზრო ერობის საადგილ-მამულო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მცოდნე და გამოცდილ პირს. (ჯამაგირი თვეში 4550 მანეთი) მსურველებმა მოსათავსებლათ უნდა მიმართონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგეს.
(ნ. 3—1)

საქართველოს კოოპერატიული ბანკი

საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ბანკის აქციონერთ, რომ, ამ წლის 15 თებერვალს, ქ. თბილისში, ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის შენობაში (კოოპერატიული ქუჩა № 15) დილის 10 საათზე დანიშნულია საქართველოს კოოპერატიული ბანკის აქციონერთა პირველი

საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა, 2) საქციონერო თანხის გადიდება, 3) წესდების 49 მუხლის შეცვლა, 4) ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. 5) გამგ. და სარევ. კომ. არჩევნები. 6) მიმდინარე საკითხები. წესდების 49—50 მ. ძალით ყოველ კოოპ. დაწესებულებას, რომელსაც აქვს ორი აქცია, უფლება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას გადამწყვეტი ხმის უფლებით. ბანკის აქციონერთ შეუძლიათ ხმის უფლება გადასცენ სხვა აქციონერებს, რომელთაგანაც არავის არ შეუძლია ორზე მეტი რწმუნება იქონიოს. რწმუნება ხმის უფლების გადაცემის შესახებ ეძლევა წერილის ფორმით, რომელიც უნდა წარმოდგენილ იქნეს სამი დღით ადრე საზოგადო კრებამდე. (ნ. 3—2)

ექიმი ირადიონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიროვნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ყვანჩულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს (806—814)

მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—6 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს.
(თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

ღებულობს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი.
(ნ.—ო.)

კომუნისტების და ოსმალეთის იმპერიალისტების კავშირი

„კომუნისტების“ გამარჯვება დენიკინის ჯარებზე უფრო და უფრო აახლოვებს „ბოლშევიკურ საკითხს“ კავკასიისათვის. ეს მოახლოვება აქა იქ უკვე საგრძნობი გახდა, კერძ. ზოგიერთ კუთხეებში და ზოგიერთ საზოგად. წრეებში ბოლშევიკები უკვე თანაგრძნობას პოულობენ. ამ თანაგრძნობამ ყველაზე უფრო ძლიერად თავი იჩინა, როგორც მოსალოდნელი იყო, განაწამებ მთიელთა ქვეყანაში. ეს თანაგრძნობა ქ. ბაქოშიაც გახდა მეტად შესამჩნევი.

მთიელთა რესპუბლიკიდან და ქ. ბაქოდან მოსული უკანასკნელი ცნობები უდავოთ ხდის ერთს დიდ-მნიშვნელოვან ფაქტს: ბოლშევიზმი და ოსმალეთის იმპერიალიზმი ხელ ჩაკიდებულნი და შეკავშირებულნი მოქმედებენ კავკასიაში ბოლშევიკების აგენტები ოსმალეთის იმპერიალისტების გავლენას ამაგრებენ, ოსმალეთის იმპერიალისტები ბოლშევიკების გაძლიერებას უმზადებენ ნიადაგს მთიელთა გაზეთის „ვოლნი გორეც“-ს ცნობით, მთის ზოგიერთ ადგილებში უკვე ბოლშევიკური გადატრიალება მომხდარა: მაგ., კაზი კუმუხში დაღესტნის კომუნისტებს დაუპატიმრებიათ ყველა ისინი, „ვინც ოდესმე ბოლშევიკების წინააღმდეგ მოქმედებდა“ და გამოუცხადებიათ კომუნისტების დიქტატურა. მეორე მხრით დაღესტანშივე დენიკინის ჯართან მებრძოლ რაზმს სათავეში უდგია ცნობილი ნური ფაშა და ცნობებია, რომ ამ მხარეში თურქ-ოფიცრების ბატონობა მტკიცდება. გაზ. „საქართველოს“ კორესპონდენტი იტყობინება დაღესტნიდან, „სამშობლოდან გამოქცეულმა ოსმალო-ოფიცრებმა დაღესტანში წმინდა ოსმალური საფაშოები გამართესო“. იმავ კორესპონდენტის ცნობით, „ბოლშევიკურ ორგანიზაციის წევრებმა სახალხო ყრილობაზე განაცხადეს, რომ დაურღვეველია მეგობრობა ლენინისა, მაჰმადიანთ ქვეყნებისა და გერმანიისაო“.

რომ ეს ცნობა სიმართლესთან ახლოა, რომ ეს კავშირი ბოლშევიზმისა ოსმალეთის იმპერიალიზმთან მოგონილი ფაქტი არ არის, ეს ნათლად სჩანს იმ აგიტაციიდან, რომელსაც აწარმოებს ქ. ბაქოში ბოლშევიკური პრესა. ბაქოში გამოდის თურქულ ენაზე კომუნისტურ ორგანიზაციის ორგანო „აზერბაიჯან ფუკარა“, რომელიც ემსახურება, ერთის მხრით, კომუნისტურ იდეას, მეორეს მხრით ოსმალეთის აღდგენის იდეას. გულუბრყვილო და ყოველ დიპლომატიურ ეშმაკობას მოკლებულია ამ ორგანოს პოლიტიკური პოზიცია. მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „ბალღის პირით სიმართლე ლაპარაკობსო“: თურქ-კომუნისტების გულუბრყვილო ნაწერებიდან აშკარად გამოსჭვივის ის იმედი, რომელსაც ამყარებენ კომუნისტებზე ოსმალეთის იმპერიალისტები.

კომუნისტების გაძლიერების საშუალებით „ახალგაზრდა თურქების“ პარტია ცდილობს დაიბრუნოს ოსმალეთში ის ბატონობა, რომელიც მას ომში დამარცხებამ წაართვა. მარტივია და ადვილი გასაგები „ახალგაზრდა თურქების“ პარტიის ანგარიში: გამარჯვებული „ანტანტა“ არ ინდობს ოსმალეთს, როგორც გერმანიის მოკავშირეს; ოსმალეთის იმპერიალისტებმა ფილანთროპიური გააწყვეს იმ ინტრიგებითაც, რომლის საშუალებითაც სულთან აბდულ-ჰამიდი ერთმანეთს აჩხუბებდა ევროპის სახელმწიფოებს და ოსმალეთის დანაწილებას იცილებდა თავიდან. დღეს ერთად ერთი იმედი „ანტანტის“ სახელმწიფოების დასუსტება-დამარცხებაშია, ეს კი შეუძლიან მხოლოდ მის შეურიგებელ მტერს—საბჭოთა რუსეთს. ოსმალეთის იმპერიალისტები მზათ არიან კავშირი შეჰკრან „კომუნისტებთან“, ოღონდ ამან მოუპოვოს მათ იმისთანა მოკავშირე, როგორიც რუსეთია, ოღონდ ამან თავიდან ააცილოს მათ ოსმალეთის დანაწილება, ოღონდ „კომუნისტურმა“ იმპერიალიზმა ბატონობა შეუნარჩუნოს მათ.

ეს მარტივი პოლიტიკური ანგარიში ნათლად გამოსჭვივის ბაქოს „თურქ-კომუნისტების“ ნაწერებიდან. იმ წერილში, რომელიც ამათმა გაზეთმა უძღვნა აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის აღიარებას, „თურქ-კომუნისტების“ ორგანო ამტკიცებს, რომ ამ აღიარებას მუშები არ უნდა ენდონ: აზერბეიჯანის მუშებს არ დაავიწყდეთ, თუ როგორი ფეხ ქვეშ გათელილია ოსმალეთის ათასწლიანი დამოუკიდებლობა მსოფლიო ყაჩაღების მიერ. უკეთუ ანტანტა მართლაც დამოუკიდებლობას აძლევს ერებს, მაშ ამავე ყაჩაღებმა რად გაანადგურეს ოსმალეთის, სპარსეთის, ავღანისტანის, ეგვიპტის დამოუკიდებლობა?

აშკარაა, რომ „თურქ-კომუნისტების“ ნიღაბ ქვეშ აქ იმალებიან ოსმალეთის იმპერიალისტები; აშკარაა, რომ „კომუნისტების“ სახელით აქ ლაპარაკობენ ისინი, ვინც ოსმალეთის დესპოტიზმის დაცემით არიან განაწყენნი და გაბოროტებულნი და ვინც ბოლშევიკების იარაღზე ამყარებს მთელს თავის იმედებს ძველ ოსმალეთის აღსადგენად. რომ თურქელების დამეგობრებას ბოლშევიკებთან სწორეთ ეს ანგარიში უდევს სარჩულად, კიდევ უფრო ნათლად სჩანს საბჭოთა რუსეთისადმი მეგობრულ პოზიციიდან, რომელზედაც ამ ბოლო დროს შეჩერდა ისეთი ფანატიკური პან-ისლამიტური და აშკარა—რეაქციონური პარტია, როგორიც არის „იტტიხადი“. ამ პარტიის ლიდერი დ—რი კარაბეკოვი ერთის მხრით საჭიროდ სთვლის აზერბეიჯანის მთავრობაში მოწვეულ იქნას ოსმალეთის ფაშები ნური ფაშა და ხალილ ფაშა, მეორეს მხრით კი იგი საბჭოთა რუსეთთან დაკავშირების მომხრეთ გამოდის. ეს ბლოკი ისე სამარცხვინო გამოდგა, რომ ბაქოს მუშათა უკანასკნელ კონფერენციაზე, რომელზედაც განუსაზღვრელად მეფობდა ბოლშევიკური სულიერი განწყობილება, საჭიროთ ჩასთვალეს ბოლშევიკურ ლოზუნგიდან ჩამოეწმინდათ ის შავი ლაქები, რომელიც ზედ დასტოვა „იტტიხადისტების“ კავშირმა *).

ამნაირად, ორი დიდი საფრთხე [illegible] კავკასიას: ერთი ჩრდილოეთიდან, მეორე სამხრეთიდან. კავკასიის მცხოვრებთა იმ ნაწილს, რომელშიაც ოდნავ მაინც ფეთქს „წითელ რუსეთისადმი“ თანაგრძნობა, უნდა ზედმიწევნით შეგნებული ჰქონდეთ, რომ ვინც დღეს შეუწყობს ხელს ბოლშევიკების გაძლიერებას კავკასიაში, იგი ამზადებს ოსმალეთის გაძლიერებას და მომავალში შესაძლებლად ხდის ოსმალეთის უწინდებურს შემოსევას კავკასიაში და კავკასიის დანგრევა-აოხრებას.

კავკასიის მცხოვრებთა იმ ნაწილებში კი, რომლებშიაც დარჩენილია ოსმალეთისადმი სიმპატია, უნდა ნათლად შეიგნონ, რომ ვინც დღეს ხელს შეუწყობს ოსმალეთის აღდგენას და გაძლიერებას, ის (შეუგნებლად თუ შეგნებით) კავკასიისაკენ ეპატიჟება რუსეთის ჯარს, რომელიც მთელი თავისი შეადგენლობით, ტრადიციებით და სულიერ განწყობილებით, იმ მიზნებით, რომლებითაც იგი კავკასიაში მიდის, დიდათ არ განსხვავდება ძველი რუსეთის ჯარისაგან, ეს იმ ჯარისაგან, რომლის უღელ ქვეშ გმინავდა კავკასია ასი წლის განმავლობაში.

შრომის განაყოფიერება

II

გუშინდელი ლენინის სიტყვა ადასტურებს ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვსწერდით ბოლშევიკების და მათი მართველობის შესახებ. „სოციალიზმის განხორციელება“ ისეთ ჩამორჩენილ ქვეყანაში, როგორიცაა რუსეთი—ეს მართლაც რომ ისტორიული კურიოზი იყო და იქნებოდა, რომ ასე დამღუპველი არ ყოფილიყო რუსეთის ხალხისთვის და, პირველ ყოვლისა, მისი მშრომელი კლასისთვის. ახლა, როგორც სჩანს, კომუნისტებმაც იგრძნეს ეს და თავის პოლიტიკის შედეგის წინაშე შიშით ცახცახებენ.

„სოციალისტურ რუსეთში“ ხალხი შიმშილით და სიცივით იხოცება. პურის ქვეყანაში—შიმშილის ღმერთი ბატონობს და შეუბრალებლად მუსრს ავლებს დიდსა და პატარას. უანგარიშო ტყეების მქონე ქვეყანა სიცივით კანკალებს და იყინება, სიღარიბემ საზარელ სიღრმეებს მიაღწია, ქვეყანა სრულიად განადგურდა.

მდგომარეობა იმდენათ საბედისწეროა, რომ ლენინი ყრილობაზე პირდაპირ აცხადებს: თუ არ შევკრიბეთ პური, თუ არ მოვზიდეთ შეშა, თუ არ განვავითარეთ ბრძოლა, ბრძოლა, რომელიც შრომის ფრონტზე ბევრ მსხვერპლს მოითხოვს—ქვეყანა დაღუპვას ვერ აცდებაო. და აქედან მას ასეთი დასკვნა გამოჰყავს: უნდა გადავიდეთ ზავის საკითხზე.

ლენინის სიტყვიდან აშკარაა ორი რამ. ერთი ისა, რომ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა, ვითომდა სოციალისტური, ნიშნავს ქვეყნის დამშევას, აოხრებას, გაპარტახებას, განადგურებას. მეორე ისა, რომ საჭიროა იარაღის განზე გადადება, სამოქალაქო ომის შეწყვეტა და შექმნა ისეთი პირობების, რაც შესაძლებელი იქნება „სახელმწიფო აშენება მოწყობილობის მსხვილი მანქანების ნიადაგზე“ (ლენინის სიტყვებია). ყოველივე ეს კი ნიშნავს უარყოფას თავის ტაქტიკისა, თავის შეხედულებისა, ერთი სიტყვით უარყოფას თავის თავისას.

მართალია ეს ერთობ ძნელია, მარა მართალია ისიც, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას და ეს მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში თვით ლენინის სიტყვით ისეთია, რომ ის დაჟინებით ითხოვს ძველი გზის, ძველი პოლიტიკის შეცვლას და თუ კომუნისტებმა მოახერხეს ამის შეთვისება, მათი ბატონობა კიდევ დიდ ხანს იბოგინებს. როგორც სჩანს ბოლშევიკების პოლიტიკაში ისახება მესამე ხანა და თუ ის მკვიდრი და მტკიცე გამოდგა, რაც ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია—რუსეთის უბედურება ოდნავ მაინც შენელდება.

ამ მიზნის მისაღწევად ბოლშევიკები ფიქრობენ, „მშრომელი არმიის შექმნას, მთელი მუშების და გლეხების ძალების მოგროვებას“ და მათი საშუალებით „შრომის ფრონტის გამაგრებას“.

შრომის ფრონტის გამაგრება—აი თავსატეხი საკითხი, აი უდიდესი მიზანი და საზრუნავი დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობისა, დღევანდელი ეკონომიური ურთიერთობისა.

ამ ფრონტის გამაგრებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენში. შრომის ნაყოფიერების გაძლიერება შეუძლებელია ამ ფრონტის გამაგრების გარეშე.

ყოველივე ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ეს ფრონტი რაც შეიძლება ძლიერი იყოს. მართალია დღევანდელი მდგომარეობა არ უწყობს ხელს ამ ფრონტის უზრუნველყოფას, მარა ისიც მართალია, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ გაუკეთებელია და თუ ჩვენ შევძლებით მაქსიმუმის გაკეთება, იმის, რის შესაძლებლობაც არის—ეჭვი არაა, მდგომარეობა საგრძნობლათ გაუმჯობესდება.

შრომა და მისი ნაყოფიერება—აი ლოზუნგი, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა, ვისაც აინტერესებს ჩვენი რესპუბლიკის არსებობა, მისი გაძლიერება, მისი აღორძინება. აქეთ ვეძახით ყველას, აქეთ მოვუწოდებთ ყველას.

ყველა სამუშაოზე, ყველა თავის ადგილზე. შრომა და შრომის დისციპლინა. ყველაფერი შრომისთვის, ყველაფრისათვის შრომა და კიდევ შრომა.

განი.

დამფუძნებელი კრება

30 იანვრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ამ. ლომთათიძე.

დეკრეტი 800 მილიონი მანეთის ბონის გამოცემისა.

ხვ. მდივანი (მომხსენებელი) აღნიშნავს, რომ ეს მესამე ემისიაა. თუ დღემდე არ ისარგებლა მთავრობამ ემისიის უფლებით, ეს იმით აიხსნება, რომ შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. 7 ნოემბრიდან 15 იანვრამდე შემოსულია გადასახადის სახით 90 მილიონი მან. ნახევარ სახარჯთაღრიცხვო წლის განმავლობაში კი შემოსულა სულ გადასახადი 169 მილიონი მანეთი, ბიუჯეტით კი ნავარაუდევი იყო 120 მილიონი მანეთი. ამ შემოსავალში არ შედის მიწათმოქმედების და რკინის გზის უწყებათა შემოსავალი, რადგანაც ის შემოსავალი უწყების ხარჯებს უდება. ხარჯი ასე ნაწილდება: სამხედრო სამინისტროს 67 მილიონი მან., სახალხო გვარდიას—45 მილიონი, მომარაგების სამინისტროს 174 მილიონი მანეთი. სულ 352 მილიონი მან. ამის გარდა დამფუძნებელი კრების დეკრეტებით არის სესხად გაცემული სხვადასხვა ორგანიზაციებისადმი რამოდენიმე მილიონი მან. ემისია საჭიროა იმიტომ, რომ მომავალში ხარჯები უფრო მეტი იქნება, ვინაიდან დამფუძნებელმა კრებამ მიიღო მთელი რიგი დეკრეტებისა მონოპოლიის შესახებ, მარტო თამბაქოს მონოპოლიის განხორციელებას დასჭირდება ერთი მილიარდი მანეთი. გარდა ამისა მიწათ მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს მთელი რიგი ზომების მიღება სახალხო მეურნეობის ჯეროვან დონეზე დასაყენებლათ, ყველა მიწები უნდა დაითესოს, მარტო ყარაიაზის ველის მორწყვას სულ მცირე რომ ვიანგარიშოთ 15 მილიონი მანეთი მაინც დასჭირდება. ამ მოკლე ხანში უნდა გაიხსნას სახელმწიფო ბანკი, რომელსაც, თანახმად დამფ. კრების კანონისა, უნდა მიეცეს 50 მილიონი მან. გარდა ამისა სატარიფო პალატის დადგენილებით ჯამაგირები უნდა მიემატოს ყველა სახელმწიფო დარგში მყოფ მოსამსახურეებს, რაც დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამიტომ ემისია უნდა გაგრძელებულ იქნას. მართალია, ეკონომიური მდგომარეობის ემისიით გამოსწორება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ამ მოკლე ხანში მოველით რეალიზაციას სამონოპოლიო საგნებისას და გვწამს, რომ ეს გააუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას. ამ ახლო მომავალში უნდა აღებულ იქნეს საგარეო სესხი და იმ ვალიუტაზე უნდა აიგოს ჩვენი ფულის სისტემა, მაშინ საშუალება გვექნება აღვკვეცოთ ემისია.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ რაოდენობა ჩვენი პასუხის მგებლობით გამოცემული ბონებისა უდრის 2 მილიარდ მანეთს (800 მილიონიანათ), რაც სტერლინგზე გადატანით შეადგენს 40 მილ. მან. ეს კი დიდ თანხას არ შეადგენს სახელმწიფოსათვის.

ილ. ნუცუბიძე (ს. რ.) აღნიშნავს, რომ როდესაც მთავრობა ითხოვს საემისიო უფლების გაგრძელებას, მუდამ ერთი დებულებით ასაბუთებს თავის მოთხოვნას: მეტი გამოსავალი არ არის და ეს უფლება უნდა მოგვეცესო. ჩვენც ვგრძნობთ იმას, რომ ახლა მეტი გამოსავალი არ არის, მაგრამ ჩვენ ვეკითხებით მთავრობას: რატომ ვერ მოახერხა მან ბონების გამოცემიდან დღემდე ჩვენი ფინანსიური მდგომარეობის ოდნავ მაინც შენელება. ჩვენ ბევრს არ მოვითხოვთ; ჩვენ მოვითხოვთ შემდეგს: დაგვანახვეთ, ბატონებო, რომ ომის მიერ გამოწვეულ განმანადგურებელ პროცესს დაუყენეთ თუ არა წინ რაიმე? ეს ჩვენ არ გვინახავს, ჩვენ გვესმის მხოლოდ, რომ ყველაფერი ობიექტიური პირობების ბრალიაო. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ყველაფერი არ არის ობიექტიური პირობების ბრალი, სუბიექტიური ელემენტიც არის დამნაშავე ამ ფინანსიურ არევ დარევაში.

ასიგნაციების გამოცემამ დაღუპვის კარამდე მიიყვანა საფრანგეთი დიდი რევოლიუციის დროს, მე მეშინია, რომ ჩვენც ისე არ დაგვემართოს. ამიტომ საჭიროა სახალხო მეურნეობის თავის დონეზე აყვანა, აქტიური საფინანსო ბალანსის შექმნა. აქ სთქვა მომხსენებელმა, რომ დიდ იმედებს ვამყარებთ სესხზეო, მე გარწმუნებთ თქვენ, რომ ბურჟუაზიული ევროპა სახეიროდ არაფერს მოგვცემს. მით უმეტეს, ჩვენ ვერ ვიშოვით ოქროს. ამიტომ ოქროზე ჩვენს ვალიუტას ვერ დავამყარებთ. ეს უნდა იცოდეს ფინანსიურმა უწყებამ. დასასრულ ორატორი მოითხოვს, რომ მთავრობამ დაანახოს მას, რომ ფინანსიური მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესებულია.

თ. ღლონტი ამბობს, რომ ახლა უფრო კარგი მდგომარეობაა, ვინემ სამი თვის წინეთ იყო, მარტო ობიექტიური პირობები არაფერ შუაშია. სუბიექტიური პირობებიც მეტად ხელს უწყობს ჩვენი ფინანსების არევ-დარევას. მართალია, ობიექტიური პირობები დიდ როლს თამაშობენ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენს ფინანსებს ხელიდან სცემენ ჩვენი საშინელი მტერი სპეკულიაცია. ფინანსთა უწყებამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სპეკულიაციის წყაროს. ორატორი აღნიშნავს, რომ ბათუმს ამ ჟამად დიდი გავლენა აქვს ჩვენს ეკონომიურ დ

---

*) იხ. დღევანდელი „უცხოეთის“ განყოფილება.

დღეს

ფრანგული პრესის ცნობით უნგრეთის არჩევნებში მონარქისტებმა გაიმარჯვეს

იტალიაში რკინის გზელთა გაფიცვა გათავდა. მუშაობა ყველგან განაახლეს.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა პოლონეთის მთავრობას, რათა სადავო საკითხები გადაწყვეტილ იქნას მეგობრული შეთანხმებით.

ფინანსიურ მდგომარეობაზე და ფინანსთა უწყება მოელოდა იმისათვის, რომ ბათუმი ჩვენ გადმოგვეცეს დროებით მაინც, სანამ მისი საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდეს. შემდეგ ორატორი ყურადღებას აქცევს შემდეგს: სპეკულიაცია იზრდება, მთავრობაც თან მიდევს ამ ზრდას და ფასებს სწევს იმ საქონელზე, რომელიც მას საწყობებში მოეპოვება. უკეთესი იქნებოდა, რომ მთავრობა არ აძვირებდეს ფასებს.

აქ თავმჯდომარე აწყვეტინებს ორატორს სიტყვას და აცხადებს, რომ თანახმად წინანდელი დადგენილებისა, პარასკევით 2 საათზე განხილულ უნდა იქნას შეკითხვები.

შეკითხვა ნაციონალისტური ფრაქციის მთავრობისადმი აფხაზეთში თუთუნის მონოპოლიის განხორციელების შესახებ.

გრ. ვეშაპელი. ასაბუთებს შეკითხვას და ამბობს: 28 ოქტომბრის დეკრეტის ძალით თუთუნის მონოპოლიის განსახორციელებლად უნდა შემდგარიყო ერთი ორგანო, რომელშიაც შევიდოდენ როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების და თუთუნის მრეწველთა წარმომადგენელნი, ამ ორგანოს შეთანხმებით უნდა გამოიმუშავებოდა მაქსიმუმი ფასისა. ასეთი ორგანოს არსებობა არა სჩანს ოფიციალურად. მხოლოდ ვიცით, რომ აფხაზეთში მომართავს სამინისტროს მიერ დანიშნული ერთი პირი, რომელსაც მინდობილი აქვს თამბაქოს მონოპოლიის განხორციელება ამ რწმუნებულის მოქმედებაზე უამრავი საჩივრებია. მრეწველთა საზოგადოება ძლიერ უკმაყოფილოა ამ გარემოებით. მე სპეკულიანტების დაცვისაგან შორსა ვარ, მაგრამ მაინც უნდა განვაცხადო, რომ ამ შემთხვევაში მრეწველები არ არიან მტყუანი. მათ ერთნაირი ტრადიცია აქვთ და ძნელია სიდამონა [illegible] მრეწველ მშრომელთა შორის ისე მკვიდროდ არიან ისინი დაკავშირებული. თუ რამე ზომები არ იქნა მიღებული, თამბაქოს კულტურა დაეცემა და ეს ჩვენ დიდ ზარალს მოგვიტანს. საერთოდ თამბაქოს მონოპოლია არ ტარდება კანონიერად და ამაზე მივაქცევ მთავრობის ყურადღებას.

ფ. ჭიჭინაძე (მომარაგების მინისტრის ამხანაგი). აცხადებს, რომ სამინისტროს ამ საკითხის შესახებ არავითარი საჩივარი არ მოსვლია. მან მოითხოვა ცნობები ამ საკითხის შესახებ და მოსვლისთანავე პასუხს გასცემს.

თავმჯდომარე. თანახმად რეგლამენტისა მთავრობას უფლება აქვს ერთი კვირის შემდეგ გასცეს პასუხი შეკითხვას.

შეკითხვა გადაიდო.

იმავე ფრაქციისაგან შემოსულია მთავრობისადმი შეკითხვა აფხაზეთში ქვეშევრდომების კანონის განხორციელების შესახებ. შეკითხვას ასაბუთებს გრ. ვეშაპელი, რომელიც აღნიშნავს, რომ დამფუძნებელ კრების მიერ 27 მაისს იყო მიღებული ქვეშევრდომობის კანონი, ეს კანონი აფხაზეთში გამოცხადებულია სავალდებულოდ 2 იანვრიდან 1920 წ., რაც დარღვევაა ჩვენი კანონისა და უცხოელებისათვის ხელოვნურად ვადის გაგრძელებას ნიშნავს. მე იმედი მაქვს, რომ კანონის ფორმალური დარღვევა მოსპობილი იქნება და მთავრობამ არ უნდა დაინახოს სპეციალურად უცხოელ ქვეშევრდომთათვის ხელოვნური ვადის გაგრძელება.

პ. ჭიჭინაძე (შინ. საქ. მინისტრის ამხანაგი). ამ საკითხის შესახებ ყველა საჭირო მასალები არ გვაქვს. რამდენათაც პირადი მავთულით ლაპარაკით და აგრეთვე სხვა ცნობებით გამოვარკვიეთ საქმე, იქ მხოლოდ გამოცხადებული ყოფილა ჩვენი ქვეშევრდომობის კანონი ერთ ოფიციალურ გაზეთში და ქუჩაში განცხადება ყოფილა გაკრული ამ კანონისა. გვაქვს ერთი საბუთი, რომლიდანაც ვტყობულობთ, რომ აფხაზეთის კომისარიატი მიუწერს ადგილობრივ კომიტეტებს, რომ 27 მაისის კანონი სასტიკად იქნეს დაცული არჩევნების დროს. მეტი საბუთი ჩვენ არა გვაქვს და ამიტომ არსებითად შეკითხვას პასუხს გავცემ შემდეგ.

თავმჯდომარე. თანახმად რეგლამენტისა და მინისტრის ამხანაგის განცხადებისა, ეს შეკითხვაც შემდეგ დარჩება. ახლა უნდა დავუბრუნდეთ ისევ პირველ საკითხს. სიტყვა ეკუთვნის ბ-ონ ღლონტს.

თ. ღლონტი აღნიშნავს ბათუმის მნიშვნელობას ჩვენი ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობისათვის და სპეკულიაციის წყაროს მოსპობას. (ხმა: სპეკულიაცია მიზეზია თუ შედეგი ჩვენი ფინანსიური მდგომარეობისა?). დღეს ისეა ეს საკითხები ერთმანეთზე გადაბმული, რომ ძნელია გარჩევა, თუ რომელია მიზეზი, და რომელი შედეგი. სახალხო მეურნეობის განვითარება კოოპერატივების, ერობების და სხ. საზოგადოებრივი ორგანიზაციების საშუალებით და სპეკულიაციის ალაგმვა, აი რა გამოასწორებს ჩვენს ფინანსებს.

ხ. ავალიანი (ფინანსთა მინისტრის ამხანაგი) ორატორებმა ახალი არაფერი სთქვეს, მათ გაიმეორეს ის, რაც არა ერთხელ უთქვამთ ამ ტრიბუნიდან, სჩანს, მათი წყარო ამოწურულია, მაგრამ ჩვენ მაინც მივაქცევთ ზოგიერთ საკითხებზე ყურადღებას.

აქ ბ. ღლონტმა განაცხადა, რომ მან არ იცის სად არის მიზეზი და სად შედეგი დღევანდელი ეკონომიური მდგომარეობისა. სწორედ ამის უცოდინარობიდან გამომდინარეობს ისეთი მსჯელობა, როგორიც ჩვენ დღეს მოვისმინეთ. მართლაც, რა არის მიზეზი იმისა, რომ ფულის ფასი ეცემა, სპეკულიაცია იზრდება?—საერთოდ ცნობილია და მიღებულია, რომ სპეკულიაცია იზრდება მაშინ, როცა საქონლის რაოდენობა მცირდება. პირიქით, როცა საქონლის რაოდენობა იზრდება, მაშინ ფულის ღირებულება მატულობს. თქვენ კარგათ იცით, რომ 4 წლის საერთაშორისო ომმა გაანადგურა წარმოება, შეარყია მთელი ევროპის ფინანსიური ეკონომიური მდგომარეობა, შეარყია ღირებულება და რა გასაკვირველია, ჩვენ მოვექეცით ისეთივე პირობებში, როგორშიაც დღეს ჩავარდნილია მთელი ევროპა, მსოფლიო. მოადგილემ კარგათ იცის, რომ ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას გამოასწორებს სახალხო მეურნეობის აყვავება, მრეწველობა, წარმოების განვითარება და კიდევაც მისი მოქმედება ამ ხრით არის მიმართული, მაგრამ ამ მოქმედების შედეგს, ნაყოფს არც მალე ვერ დაინახავთ, ეს ხდება თანდათან, ერთბაშათ არ განმტკიცდება ეკონომიურ ფინანსიური მდგომარეობა, როგორც ეს ბ. ღლონტს ჰგონია. ბ. ღლონტმა მოითხოვა ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტის ამოშრობა. ეს კი ყოველგვარ შეძლებლობას აღემატება.

ფულის გამოცემა არ არის საშიში, თუ ის ისევ ხაზინაში ბრუნდება გადასახადის, ან სხვა რამე სახით და ამგვარათ არის ნორმალური ტრიალი. ბ. ღლონტი კი ფიქრობს, რომ გადასახადების გადიდება, ეს სპეკულიაციისათვის ფეხ და ფეხ მიყოლა არისო. ეს კი არ არის მართალი. გადასახადის გადიდება ერთად ერთი საშუალებაა—ფულის ღირებულების სათანადო დონეზე შესაჩერებლათ.

რაც შეეხება ემისიის გაგრძელებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს არ არის მარტო ჩვენი სენი, ეს მთელი მსოფლიოს სენია. ეს გამოწვეულია ეკონომიური წყობილების შეცვლით. ამ ეკონომიურმა წყობილებამ აიძულა ამერიკა, ინგლისი მიემართა ქაღალდის ფულისათვის და ჩვენც იძულებული ვართ ამას მივმართოთ. ამერიკაში ომამდე ტრიალში იყო 26 მილ. მან. ქაღალდის ფული, ახლა კი 12 მილიარდის ქაღალდის ფული ტრიალებს. საფრანგეთში ომამდე—5 მილიარდის ქაღალდის ფული იყო ტრიალში, ახლა კი—34 მილიარდი მანეთისაა.

რაც შეეხება ბათუმს, ჩვენც ვგრძნობთ, მაგრამ ეს ერთი უწყების საქმე როდია, როგორც ეს ბ. ღლონტს ჰგონია, ეს მთავრობის საქმეა და მთავრობა კიდევაც მუშაობს ამ მიმართულებით.

შემდეგ ორატორი ეხება ჩვენი ფულის სისტემის შექმნას და ამბობს, რომ დღემდე ჩვენი დამოუკიდებლობა არ იყო ცნობილი, ჩვენ სახელმწიფოს არ ჰქონდა იურიდიული სახე და ამიტომ სესხს არ მოგვცემდნენ, ახლა კი პირობები შეიცვალა და ჩვენც ვაწარმოებთ მუშაობას სესხის აღების საქმეში და იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ეს საკითხი დადებითად გადაწყდება და ჩვენი ფულის სისტემა მოეწყობა. მაგრამ სესხს სარგებელი სჭირია და ჩვენ ვიცით, რომ მარტო სესხით არაფერი გაკეთდება, ამიტომ იყო, რომ მთავრობამ უკვე დაადგა აღებ-მიცემობის გზას, ის ჩვენი მრეწველობა-წარმოებაში და ხელს უწყობს მათ ალორძინება-განვითარების საქმეს. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენში 7 ქარხანა გაიხსნა. დაარსდა საზოგადოებები, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს საზოგადოებები სპეკულიაციის გზით სიარულს ირჩევენ.

დასასრულ მინისტრის ამხანაგი აღნიშნავს, რომ ფულის ღირებულების აწევა სავსებით დამოკიდებულია ეკონომიური მდგომარეობის სიძლიერისაგან, ამ მხრივ მუშაობა დიდი სწრაფობის და შედეგის, ნაყოფის მიღებას დიდ ხანს [illegible] დრო.

გრ. ვეშაპელი აღნიშნავს, რომ მონოპოლიის ქაღალდის ფულის საშუალებით განხორციელება დამოუკიდებელ საშუალებით უნდა იქნას ცნობილი. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ბონების ნაწილი მელიორაციაზე დაიხარჯება. თუ რამე დაიხარჯა მიწათმოქმედების მინისტრის გეგმით, ის აგრეთვე ლითონით ზარალს მოგვიტანს. შემდეგ ორატორს საჭიროდ მიაჩნია ჯარის და გვარდიის ხარჯებში ეკონომიის დაცვა, სესხის აღების აუცილებლობა და საერთოდ ზომების მიღება ჩვენი ეკონომიური ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მომხსენებლის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ დეკრეტი მიღებულ იქნა.

ვ. ჯუღელის მოხსენებით უკამათოდ მიღებულ იქნა დეკრეტი სახალხო გვარდიისათვის ყოველთვიურად 15 მ. მან. გადადებისა 1 ოქტომბრიდან მარტის 1 დე.

უკანასკნელი ცნობები

შავი ზღვის გუბერნიაში.

შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელ კომიტეტისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: აჯანყებულმა გლეხებმა დაიპყრეს ქალაქები ადლერი და ხოსტა. სოჭში გარნიზონი აჯანყდა. მოხალისეთა ლაშქრის ჯარები იხევენ, ჰყრიან თავიანთ აფიცრებს და გადადიან აჯანყებულთა მხარეზე. აჯანყებულთა წინამძღოლობას უწევენ მხოლოდ აფიცრები. რევოლიუციონურ ჯარებს დიდი ზარალი არ მოსვლიათ. ხელთ ჩაგვივარდა დიდძალი სამხედრო მასალა.

ბაქოში.

ბაქოს კომუნისტებმა „ისკრის" გადმოცემით ფურცლები გამოუშვეს, რომელშიაც მოუწოდებენ ადერბეიჯანის მუშებს, გლეხებს და ასკერებს არ აჰყვენ პროვოკაციულ ხმებს იმის შესახებ, თითქოს განზრახული იყოს მუშების გამოსვლა, საყოველთაო გაფიცვის მოწყობა და სხ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

31 იანვარი.

ლიონის რადიო სადგურის ცნობები.

შრომის მინისტრმა დეპუტატთა პალატის საკრედიტო კომისიას მოხსენება წაუკითხა საათის ისრის ერთი საათით წინ წაწევის შესახებ. ისარი გადაწეული იქნება 15 მარტიდან 25 ოქტომბრამდე—ეს ვადა საბოლოოდ დადგენილი იქნება აგრეთვე მომავლისათვისაც: 1920-სა და 1921 წლებისათვის ისარი გადაწეული იქნება 14 თებერვალს და ნორმალურ დროს დაუბრუნდება 25 ოქტომბერს.

ქაიროში მყოფი „ტაიმსის" კორესპონდენტი 22 იანვარს დეპეშით იუწყებოდა, რომ სირიის მდგომარეობა როგორც პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიური თვალსაზრისით მეტად სერიოზულია. იგი გვამცნობს იმ სიმძაფრის შეტევებზე, რომელიც ხდება ფრანგებსა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. „ტაიმსი" თავის ვალდებულებათ სთვლის კატეგორიულად უარყოს პესიმისტური ცნობები, რომელიც ამ ტენდენციურ დეპეშაშია. სამხედრო ინციდენტები, რომელზედაც გაკვრით არის ლაპარაკი, შეიცავს უმნიშვნელო ხასიათის მცირე გამოსვლებს. რაც შეეხება საფრანგეთისა და ადგილობრივ თანამდებობის პირთა დამოკიდებულებას, იგი ყოველმხრივ შესანიშნავია. საკვირველია მხოლოდ ის, რომ ქაიროში ხმებს ავრცელებენ იმ მიზნით, რომ სირიაში საფრანგეთის საქმე შეაფერხონ და მას სახელი გაუტეხონ.

ოფიციალურად მტკიცდება, რომ იაპონიის მთავრობა კატეგორიულად უარს აცხადებს [illegible] გერმანიის წარმომადგენლად [illegible].

რომიდან იუწყებიან: ზოგი გაზეთის აზრით ძალიან შესაძლებელია, რომ ნიტი ხელახლა წავიდეს პარიზში, რათა მოკავშირე სახელმწიფოებთან კიდევ განახლოს მოლაპარაკება ფიუმის საკითხის შესახებ.

გაზ. „ფინანს ინფორმასიონ" იუწყება ტონკინში [illegible] შესახებ.

რესპუბლიკის პრეზიდენტი და მისი თანამგზავრები ხუთშაბათ დილით პარიზში დაბრუნდენ.

ფრანგული პრესის ცნობები

უნგრეთის არჩევნები მონარქისტების გამარჯვებით გათავდა.

იტალიელ რკინის გზელთა გაფიცვა თავდება. გაფიცულებთან მოლაპარაკება სწარმოებს.

(დასაწყისი არ მივიღეთ)... მოლაპარაკება სწარმოებდა იმ მიზნით, რომ დაესახათ ბაზა თავდაცვით კავშირისა. ამ მოლაპარაკებამ რომელიც ბელგიის დამოუკიდებლობის შესახებ სრულ შეთანხმებაა, მეტად წაიწია წინ და კონვენციის შეცვლა უახლოეს მომავალში საქმით უნდა ჩავსთვალოთ. ანალოგიური კონვენცია დადებული იქნება ბელგიისა და ინგლისს შორის. დაწყებულია მოლაპარაკება აგრეთვე ეკონომიურ საკითხების შესახებ. ამ მოლაპარაკებას გააგრძელებენ ორივე სახელმწიფოს მინისტრები პარიზში.

ლოიდ ჯორჯი, მილერანი და ნიტი ხელახლა განიხილავენ ომის კანონების დარღვევაში დამნაშავეთა გაცემის საკითხს.

„ივნინგ სტანდარტი" ავტორიტეტული წყაროებიდან იუწყება: ექს-კაიზერის და გერმანიის მიერ ომის კანონების დარღვევაში დამნაშავეთა გაცემის საკითხი ახალ ხასიათს ღებულობს. მილერანმა და ნიტიმ პრინციპიალურად მიიღეს გადაწყვეტილება: შეიკრიბონ ლონდონში კონფერენციაზე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ლოიდ ჯორჯი, ლორდ კერზონი და ელჩები საფრანგეთისა, იტალიისა და იაპონიის, რათა ხელახლა განიხილონ ეს საკითხი.

გერმანიის საქმეთა ვექილის მიერ მილერანისადმი რწმუნებულობის ბარათის გადაცემას არავითარი სადღესასწაულო ხასიათი არ ჰქონია. საუბარმა გასტანა 15 წუთამდის.

სამხედრო მინისტრმა ანდრე ლეფევრმა ხუთშაბათ დილით საფრანგეთის სამხედრო საბჭო მიიღო. საათ-ნახევარ თათბირის შემდეგ ამ ლეფევრმა სამხედრო [illegible] სამხედრო საბჭოს საბოლოო ორგანიზაციის შესახებ. [illegible] მიერ დაზუსტებულ დეკრეტში შეტანილ ცვლილებები [illegible].

[illegible] შეთანხმებით მეტად დაბნეულები არიან, მაგრამ დღეის [illegible] შექმნა. [illegible]

რეიტერის სააგენტო იუწყება: ინგლისის ჯარებმა 19 იანვარს, [illegible] საბოლოოდ დასტოვეს ბეირუტი. ასე რომ, ამ მხარეში ინგლისის ჯარი აღარსად არ იყო [illegible]

იტალიელ რკინის გზელთა გაფიცვა დასრულდა. ყველგან მუშაობა განაახლეს.

პარასკევს პალატამ მსჯელობა იქ-

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა.

პროლეტარიატის მოწიფება.

სოციალიზმის წინასწარ პირობათ, ხალხის უმაღლესად გონიერივად განვითარებასთან ერთად, მიჩნეულია მასსის მორალური გრძნობის უმაღლესად განვითარება. ასეთად ჩაითვლება ის მორალი, რომელიც გამოიხატება არა მარტო ძლიერ სოციალურ ინსტინქტში, სოლიდარობის გრძნობაში, მსხვერპლის გაღებაში და თავდადებაში, არამედ—ამ გრძნობათა აღზრდის განსაზღვრული წრის გარეთ, მთელს საზოგადოებაზე გავრცელებაში.

ამგვარი მორალი, როგორც ჩვენ დავინახეთ, ძალიან ჰქონდა შეთვისებული პარიზის კომუნის პროლეტარიატს, ასეთი მორალი არ მოეპოვება ამ ერთ იმ მასსას, რომელიც ბოლშევიკური პროლეტარიატის [illegible].

ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული ამგვარი მორალის შესაქმნელად. მაგ., ტროცკი ამბობს: „ეს კომუნისტური მორალი, ამხანაგებო, ჩვენ ვალდებულნი ვართ ახლავე ვიქადაგოთ, წავახალისოთ ხალხი ამისთვის, განვავითაროთ ეს მორალი, განვამტკიცოთ ის. ეს ჩვენი პარტიისა და უპირველესი მიზანია მისი მოღვაწეობის ყოველგვარ ასპარეზზე" („შრომა, დისციპლინა და სხ. გვ 21).

ნუ თუ ტროცკი ფიქრობს, რომ ახალი მორალის შექმნა შესაძლებელია სახელდახელოდ, ერთი ღამის განმავლობაში? მისი განვითარება უნდა მოხდეს თანდათანობით, ნელ-ნელა. წარმოების აღდგენა კი არ ითმენს გადადებას. უკეთუ კომუნისტური მორალი განვითარებას ვერ მოასწრებს სოციალიზმის დაწყებამდე, თუ მის შესაქმნელად საჭირო იქნება მუშაობა ექსპროპრიაციის შემდეგ, ეს დაგვიანებულათ უნდა ჩაითვალოს.

რა საშუალებებით ფიქრობენ ამ მორალის განვითარებას? ქადაგებით? თითქოს მორალის ქადაგებას ქვეყნად ოდესმე გამოეღოს რამე ნაყოფი. როცა მორალისტები რამე იმედს ამყარებენ ქადაგებაზე, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ისინი მოემწყვდენ გამოუვალ ჩიხში.

თქმა არ უნდა, რომ საჭიროა ახალი მორალის არა თუ ქადაგება, არამედ—მისი გამოწრთობა, მაგრამ კითხვა იბადება: რა საშუალებით?

მორალი ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მოღვაწეობის პროდუქტია. აქ პოულობს ის თავის შინაარსს. ის დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ წესისაგან.

ის უმაღლესი მორალი, რომელსაც თავისში ანვითარებს მებრძოლი პროლეტარიატი, დამოკიდებულია ორი მომენტისაგან. როგორც უძლური და უმწეო საზოგადოებაში, პროლეტარიატს შეუძლია თავის დაცვა მხოლოდ ერთიერთი მჭიდრო შეკავშირებით. პროლეტარიატის წრეებში განსაკუთრებით დიდათ ფასობს თავდადების გრძნობა და თავის მიტანა სამსხვერპლოზე ამა თუ იმ წრის მიერ. კაპიტალისტთა კლასში კი, სრულიად წინააღმდეგ მოვლენას აქვს ადგილი: აქ კერძო პირის მნიშვნელობა და ასე ვთქვათ, სიმძიმე, ფასდება მისი სიმდიდრით—უპირატესათ,—როგორის გზითაც, ან საშუალებით უნდა იყოს ეს სიმდიდრე შეძენილი.

მარტო სოლიდარობის ძლიერი გრძნობაც ვერ იქნება სოციალური ტიპი მორალი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა ახალი საზოგადოების აშენება. სოლიდარობის გრძნობებს შეუძლიათ იმოქმედოს პირდაპირ სოციალურ ინტერესების საწინააღმდეგოთ, უკეთუ ის ვრცელდება ვიწრო წრეზე, უკეთუ ეს წრე მიისწრაფვის უგულვებელყოს თავისი უპირატესობით დანარჩენი საზოგადოების ხარჯზე—მაგ. თავად-აზნაურობა, ბიუროკრატია, აფიცერთა კასტა და სხ.

რაც ამაღლებს თანამედროვე პროლეტარიატის სოციალისტურ მორალს, ეს არის გავრცელება მთელს კაცობრიობაზე, რომელიც შეიცავს იმ შეხებას, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია განთავისუფლდეს იმ დრომდე, ვიდრე არ განთავისუფლებს მთელს კაცობრიობას. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ენგელსი ამ ფაქტის შემოწმებიდან მოელოდა პროლეტარული მორალის უპირატესობის ამაღლებას თავის წიგნში—(„მდგომარეობა მუშათა კლასისა ინგლისში"—მე 2 გამოცემა გვ. 299) ის სწერდა: „იმავე რაოდენობით, როგორც პროლეტარიატი ითვისებს, ისისხლხორცებს სოციალისტურ და კომუნისტურ ელემენტებს, სწორედ იმავე პროპორციით აკლდება მას სისხლის ღვრის, შურისძიების და გაბოროტების ელემენტები რევოლიუციაში. თავისი პრინციპებით კომუნიზმს ხაზგასმული ადგილი უჭირავს იმ წინააღმდეგობებით შედარებით, რომლებიც არსებობენ პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის.

ის აღიარებს ამ ბრძოლის ისტორიულ მნიშვნელობას აწმყოსთვის, მაგრამ არ სცნობს მას საჭიროდ მომავლისათვის. პირიქით, მას სურს ამ წინააღმდეგობათა მოსპობა. ამისთვის, ვიდრე არსებობენ ეს წინააღმდეგობანი, კომუნიზმი საჭიროდ სცნობს პროლეტარიატის სისასტიკეს გრძნობა გამოიჩინოს მის დამონავებელთა წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში, როგორც აუცილებელი რამ, როგორც ძლიერი ბერკეტი დაწყებულ მუშათა მოძრაობისა, მაგრამ შემდეგში ის ხსნის ამ სისასტიკეს, ვინაიდან ის არის მთელი კაცობრიობის საქმე და არა მარტო მუშებისა. და ამას გარდა, არც ერთ კომუნისტს თავში არ მოუვა შური იძიოს კერძო პიროვნებაზე. მას ამის წარმოდგენაც კი არ შეუძლია, რომ არსებულ პირობებში რომელიმე კერძო ბურჟუას შეეძლოს სხვაგვარათ მოქცევა, ვიდრე ის მოქცევა.. პირიქით, რამდენათ მეტად გაიმსჭვალება ინგლისელი მუშა სოციალისტური იდეებით, იმდენათ არ იქნება საჭირო ახლანდელი მისი სისასტიკე, რომელიც არავითარ ნაყოფს არ მოიტანდა, თუ კი ის გაგრძელებული იქნებოდა იმ გვარივე შედეგებით, როგორც ახლა მიმდინარეობს. და მით უფრო, რომ ბურჟუაზიის საწინააღმდეგო გამოსვლები ჰკარგავენ თავის ველურ და ბრუტალურ ხასიათს. უკეთუ შესაძლებელი ყოფილიყო მთელი პროლეტარიატის კომუნისტურათ გარდაქმნა, ვიდრე ბრძოლა დაიწყებოდა, ასეთ პირობებში ბრძოლა ჩატარდებოდა მეტად მშვიდობიანათ. მაგრამ ეს შეუძლებელია: მეტად დაგვიანებულია. (1845 წლის ენგელსი მოელოდა რევოლიუციონურ აფეთქებებს ახლო ხანში; 1848 წ. რევოლიუციამ მართლა იფეთქა, მაგრამ არა ინგლისში, არამედ—კონტინენტზე და ის იყო რევოლიუცია არა პროლეტარული. კ.) მე მრწამს, რომ პირდაპირი და სრულიად აშკარა ომის დაწყებამდე ღარიბებისა მდიდრების წინააღმდეგ, რაც ახლა აუცილებლათ უნდა მოხდეს ინგლისში, პროლეტარიატს გაუჩნდება შეხედულება სოციალურ საკითხზე იმდენათ მაინც, რომ მომხდარი ამბების შემწეობით კომუნისტური პარტია შეძლებს დიდი ხნით ჩაახშოს რევოლიუციაში მოძალადე ელემენტები და აიცდინოს მე 9 ტერმიდორის განმეორება".

მეცხრე ტერმიდორი იყო რესპუბლიკის დაცემისა და ტერორის ბატონობის დამარცხების დღე. ამ დამარცხების თავიდან აცილება სურდა ენგელსს და ამ მიმართულებით მუშაობდნენ კომუნისტები, როცა მათ პროლეტარულ კლასობრივ ბრძოლას გამოაცალეს მისი ველური და პრიმიტიული ზომები, წამოაყენეს რა პირველ რიგში საერთო საკაცობრიო ინტერესები.

როგორც ხედავთ, კომუნიზმის სახით ენგელსს სრულიად სხვა ჰქონდა წარმოდგენილი, ვიდრე ეს ესმით ამ ჟამად ბოლშევიკებს. ამასთან, რაც სურდა ენგელსს, იმისკენ მიისწრაფოდენ სწორედ ის რუსი სოციალისტები, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგნი იყვნენ.

ბოლშევიზმმა გაიმარჯვა თავის სოციალისტურ მოწინააღმდეგეებზე მით, რომ რევოლიუციის მამოძრავებელ ძალად გაიხადა სიველურე და პრიმიტიულობა დაწყებულ მუშათა მოძრაობისა; ბოლშევიზმმა უკან დასწია სოციალიზმის საქმე მით, რომ მთელი კაცობრიობის საქმე „მარტო მუშათა საქმეთ" გახადა. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს ყოვლისშემძლებლობა დაქირავებულ მუშებისა (სოფლის ღარიბ გლეხობასთან ერთად) და დაიწყეს თავისი ბატონობა მით, რომ უფლება ჩამოართვეს და გარიყეს ყველა ისინი, ვინც ბოლშევიკების მიერ გამართულ ფერხულში არ იღებდა მონაწილეობას. ბოლშევიზმმა მოსპო კლასები და წინანდელი პროლეტარიატი პრივილეგირებულ კლასათ გადააქცია. ასე, ბოლშევიზმმა სოციალისტური ბრძოლა, რომლის მიზანიც არის მთელი კაცობრიობის განთავისუფლება და მისი განვითარების უმაღლეს წერტილამდე აყვანა, გადააქცია ზოგიერთ პირთა [illegible].

იმის მაგივრათ, რომ ბოლშევიზმს პროლეტარიატის მორალი ამაღლებინა საერთოდ, მოახდინა მისი დემორალიზაცია. მან კიდევ უფრო გააძლიერა ეს დემორალიზაცია იმით, რომ ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია ჩამოაშორა მასთან ერთად კაპიტალისტურ წარმოების ახალ ნიადაგზე ორგანიზაციის.

აქედან ერთი ნაბიჯია იმ ბანდიტიზმამდე, რომელიც იდეალიზაციით იყო გამოხატული სტენკა რაზინის სახით. „მასსამ შეითვისა ყველაზე უფრო ადვილი ბოლშევიზმის პროგრამის: არ არის საჭირო ბრძოლის წარმოება, აღარ არის საჭირო მოვალეობის ასრულება, საჭიროა მხოლოდ მიითვისო ის, რის შოვნაც შეგიძლია, რასაც ასეთი მშვენიერი ფორმულა მისცა ლენინმა—„ძარცვე ნაძარცვი" (ღ. გავრონსკი „რუსული ბოლშევიზმის შედეგები", ბერლინი 1919 წ 30 გვ.)

ეს შეხედულება სავსებით შეეფერება იმ ფაქტს, რომ სტენკა რაზინს საბჭოთა რესპუბლიკაში ძეგლი დაუდგეს.

ამ გვარათ, ბოლშევიზმი „[illegible]" და ავრცელებდა კომუნისტურ მორალს, რომლისთვისაც სოციალისტური მნიშვნელობა შეუძლებელი იქნებოდა. თავიდანვე ეს იწვევდა რუსეთის პროლეტარიატში დემორალიზაციის ზრდას. ის იდეალისტები, რომლებიც მოიპოვებიან ბოლშევიკების წრეში, თვითონ შეწუხებული იყვნენ ამ შედეგებით, ხოლო შეუძლიათ მხოლოდ ამ ფაქტის აღიარება და სრულიადაც ვერ მოახერხეს იმ მიზეზების გამომჟღავნება, რომელმაც გამოიწვია ეს. ამის გამოაშკარავება მათ იძულებულს ხდიდა ხელი აეღოთ მართვის სისტემისაგან.

სასოწარკვეთილებამდი მისულებმა, მათ დაიწყეს იმ საშუალებების გამონახვა, რომლითაც შეეძლოთ მოეხვეჭათ თავის მასსისათვის კომუნისტური მორალი. მაქსიმალისტებმა, გაბედულმა რევოლიუციონერებმა, ვერავითარი ვერ მოიგონეს უკეთესი, გარდა იმ საშინელი სასამართლოებისა, ციხეებისა, დახვრეტისა და ტერორისა, რომლითაც მოისურვეს თავის დაღწევა თავიანთი ცოდვებისაგან. ლენინი თავის წიგნში—„საბჭოთა მთავრობის უახლოესი ამოცანები" (გვ 47) სწერს: „სასამართლო არის საშუალება დისციპლინის სულის აღზრდისა. სავსებით არ არის შეთვისებული ის უბრალო და აშკარა ფაქტი, რომ თუ შიმშილი და უმუშევრობა, რომელიც გამოწვეულია უბედურებით, ამის გადალახვა შეიძლება არა იერიშებით, არამედ ყოველმხრივ, საერთო ორგანიზაციით და დისციპლინით და ამისთვის ყველა იმ ტანჯვაში, რომელიც გამოწვეულია შიმშილით და უმუშევრობით, წილი მიუძღვით მათ, ვინც ამა თუ იმ წრეებში, ამა თუ იმ საქმეში არ ემორჩილება დისციპლინას, ასეთი დამნაშავე საჭიროა წარდგეს სასამართლოს წინაშე და სასტიკად დაისაჯოს".

საშინელი სასჯელის მიყენებით, განზრახული იყო რუსეთის პროლეტარიატისათვის თავზე მოეხვიათ კომუნისტური მორალი. მაგრამ ვერასდროს „შეუბრალებელი სასჯელით" ვერ შესძლის მორალის აყვავება, მხოლოდ ეს იწვევდა მისი უკანასკნელი ნაშთების მოსპობას. სასტიკი სასჯელის მიყენება არის აუცილებელი ბოროტება. იქ, სადაც ძველი წყობილება და სხვა უკეთესი საშუალებებით არ შეიძლება ძალ-უფლების შენარჩუნება, ხოლო თავის სხვა გზები დახშულია. სოციალისტური რეჟიმი, რომელიც სასტიკ, დაუნდობელ სასამართლოებით ცდილობს პროლეტარიატში უმაღლესი მორალის გამოწვევას, ამით ის აშკარავებს თავის გაკოტრებას.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „ერთ." № 17, 20,22.

ნია მილერანის ახალი კაბინეტის გარშემო და შინაურ პოლიტიკის შესახებ.

საბჭოთა რუსეთი

მოსკოვი. იანვ. 30. მიმართვა სახალხო კომისართა საბჭოსი პოლონეთის მთავრობისა და ხალხის მიმართ. 28 იანვარს სახალხო კომისართა საბჭომ განცხადებით მიმართა პოლონეთის მთავრობას და ხალხს. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა უკიდურესი იმპერიალისტები ამ ჟამად ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა პოლონეთი ჩაითრიონ ფართო ბრძოლაში საბჭოთა რუსეთთან. ცდილობს რა ხელი შეუშალოს ახალ სისხლის ღვრას და მსხვერპლს, სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ რუს. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის პოლიტიკა დამოკიდებული ერთგული თვით გამორკვევის პრინციპზე, უსათუოდ და ფართოდ აღიარებს დამოუკიდებლობას პოლონეთის რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობას ხალხს და საფუძვლიანად იცავს სრულიად რუსეთის საბჭოთა სახალხო კომისართა 22 დეკემბრის სახელით წინადადებას, კომისართა საბჭო, რომელიც შორს არის ყოველგვარ აგრესიულ ზრახვებისაგან, აცხადებს, რომ წითელი ჯარი არ გადალახავს ბელორუსიის ფრონტის ეხლანდელ ხაზებს, რომელიც გადის შემდეგ პუნქტებზე: დრისა, დისნა, პოლოცკი, ბორისოვი, პარიჩი, სად. პტიჩის და ბელოკოროვიჩის ახლოს. რაც შეეხება უკრაინის ფრონტს სახალხო კომისართა საბჭო თავის სახელით და უკრაინის დროებითი მთავრობის სახელით აცხადებს, რომ ფედერატიული რესპუბლიკის საბჭოთა ჯარი სამხედრო მოქმედებას არ აწარმოებს დასავლეთის ფრონტის ეხლანდელ ხაზებს იქით, რომელიც ნოვოგრადს, ჩუდნოვს, პილიავის და [illegible] ახლოს გადის. სახალხო კომისართა საბჭო აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობას არც გერმანიასთან და არც სხვა სახელმწიფოებთან არავითარი შეთანხმება და ხელშეკრულება არ დაუდვია პირდაპირ, თუ არა პირდაპირ პოლონეთის წინააღმდეგ მიმართული. სახ. კომისართა საბჭო აცხადებს, რომ რამდენადაც ლაპარაკია პოლონეთის და რუსეთის ნამდვილ ინტერესებზე—არ არსებობს არც ერთი საკითხი ტერიტორიალური ეკონომიური და არც სხვა, რომელიც არ შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით და დათმობით გადაწყდეს ისე, როგორც ამ მაგალითად ხდება ესტონეთთან მოლაპარაკებაში.

სახალხო კომისართა საბჭო თავისი კატეგორიული განცხადებით რუსეთის და პოლონეთის ხალხის მიმართ ასრულებს თავის მოვალეობას და იმედს არ კარგავს, რომ ყველა საკითხები გადაწყვეტილი იქნება მეგობრულ შეთანხმებით.

პროფ. კავშირების ცენტრალურმა საბჭომ ევროპის და ამერიკის პროფესიონალურად დაკავშირებულ პროლეტარიატს წინადადებით მიმართა გამოგზავნონ წარმომადგენლები სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მე—3 ყრილობაზე. მიმართვაში ნათქვამია: დე მოვიდნენ თქვენი დელეგატები, შეისწავლონ თვით საქმის მდგომარეობა, გაეცნონ ჩვენ პროფ. მოძრაობას და მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ამ მიმართვაში აღნიშნულია, რომ რუსეთის პროფ. კავშირებმა უკვე მიიღეს ის, რისთვისაც სხვა ქვეყნის კავშირები მხოლოდ იბრძვიან. ჩვენ გვსურს თქვენ გაიზიაროთ ჩვენი გამოცდილება, გვსურს რომ თქვენც თქვენი გამოცდილება გაგვიზიაროთ, ჩვენ, რადგან მხოლოდ მთელი პროლეტარიატის შეერთებულ ბრძოლას და სოციალიზმისათვის მუდმივი თანამშრომლობას შეუძლია საბოლოო გამარჯვებამდე მიგვიყვანოს.

მოსკოვი იან. 30. საშტაბო ცნობა. [illegible] რაიონში ბრძოლა გრძელდება. მოზირის სამხრეთ-დასავლეთით 40 ვერ. და ჩრდილო დასავლეთით 25 ვერსზე ჩვენი ჯარი იბრძვის. ელისავეტგრადის რაიონში აღსანიშნავი ცვლილება არ მომხდარა. პერეკოპის ჩრდილოეთით მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ნოვოჩერკასკის რაიონში მანიჩსკაიას სამხრეთით 5—10 ვერსზე ჩვენმა ჯარმა რამდენიმე სოფელი აიღო. დამატებითი ცნობებით, 28 იან. მანიჩსკაიას რაიონში ბრძოლის დროს ჩვენ 1400 ტყვე წამოვიყვანეთ. მდ. მანიჩზე ჩვენ მტერი უკუ ვაგდეთ. ჩვენმა ჯარმა გუნდოროვსკაია და მიტროფანოვკა აიღო, დაესხა ზურგს უკან მტერს რომელიც ივანახზე გადასასვლელ ადგილებს იცავდა დონეცის ჩრდილოეთ რაიონში და გაანადგურა მე 3 ასტრახანის დივიზია. მთელ დაბარგულობასთან ერთად ჩვენ ხელში ჩავარდა დივიზიის საველე შტაბი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ამიერ-კავკასიაში მყოფ იტალიის სამხედრო მისიის უფროსს პოლ. გაბბასგან საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „[illegible] გრაფი სფორცა, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, მთხოვს გაცნობოთ, რომ გემი „სოლფერინო", რომელიც ჩამოიყვანს ამიერ-კავკასიაში იტალიის სამოქალაქო მისიას, იტ. ლიის მთავრობა გზავნის 500 ტონ ფქვილს საქართველოს მცხოვრებთა საჭიროებისათვის. იტალიის მთავრობა სწუხს, რომ „სოლფერინოს" არ შეუძლია დანარჩენი 500 ტონი ფქვილის წამოღება, რომელიც უკვე მზად არის საქართველოსთვის. გარდა ამისა, იტალიის მთავრობამ მიზნად დაისახა იშუამდგომლოს ეკონომიური საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს მიეცეს სურსათი. გემი „სოლფერინო" მოვა დაახლოებით 12 თებერვალს. სამოქალაქო იტალიის მისია, უკანასკნელ ცნობების მიხედვით, შესდგება დაახლოებით 40 კაცისაგან.

◆ მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტი და მინისტრების კანცელარია, 2 თებერვლიდან ახალ ბინაზე გადადის. მთავრობის სახლში, რუსთაველის პროსპექტი ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობაში. მთავრობის თავმჯდომარე ორშაბათიდან იქვე მიიღებს მთხოვნელებს.

◆ **იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტთა გამოსაცდელად.** 20 იან. საგანგებო თათბირმა იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით დაადგინა დაარსებულ იქმნეს კომისია იმ სტუდენტთა გამოსაცდელად, რომელთაც მოსმენილი აქვთ 4 ან 3 კურსი იურიდიული ფაკულტეტის, თუ აღნიშნული გამოცდისათვის მსურველ სტუდენტთა რიცხვი საკმაო აღმოჩნდა. ამიტომ საქიროა თხოვნის დაუყოვნებლივ შეტანა იუსტიციის მინისტრის სახელზე, რომელშიაც აუცილებლად უნდა იქნას აღნიშნული სახელი, მამის სახელი და მისამართის გარდა, რომელ უნივერსიტეტის რამდენი კურსი აქვს გავლილი, ჩაბარებული საგნების აღნიშვნით. როდესაც საკმაო რიცხვი თხოვნებისა დაგროვდება, სამინისტრო გამოაცხადებს დროს, შეადგენს კომისიას და შეუდგება გამოცდებს.

◆ **საქართველოს ქალაქთა კავშირის** სანიტარო განყოფილება ამით იუწყება, რომ ცენტრალურ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიამ (სერგიევის ქუჩა, № 4) მიიღო პარიზიდან —პასტერის ინსტიტუტიდან—დიფტერიტის საწინააღმდეგო ახალი შრატი, რომლის თითოეული ამპულა შესდგება 2500 ერთეულიდან.

შრატის გაცემა ავადმყოფთათვის შეიძლება მხოლოდ ექიმის გამოწერით. ავადმყოფის პატრონმა შრატის მოთხოვნასთან ერთად უნდა წარადგინოს შედეგი თფილისის ერთ-ერთ ლაბორატორიაში წარმოებულ ანალიზისა.

◆ **ქალაქის განათებისათვის.** თფილისის ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა რაც შეიძლება მოკლე ხანში ჩამოართვას კერძო საელექტრონო სადგურებს ქალაქის ქუჩების განათება და თვითონ შეიძინოს საკმაო სადგურები ქალაქისათვის შუქის მისაწოდებლად. ამ ჟამად ქალაქის ქუჩების უმეტესი ნაწილი ქალაქის ელექტრონითაა განათებული.

◆ **რკ. გზის ტელეგრაფის დასაცავად.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ ცირკულიარული წინადადება მისცა ყველა მაზრის მილიციის უფროსებს, რათა რკ. გზის მახლობლად მდებარე სოფლების მცხოვრებთა მიერ ტელეგრაფის ხაზის დაზიანების წინააღმდეგ მიღებულ იქნას ენერგიული ზომები და ყველა დამნაშავენი პასუხისგებაში იქნენ მიცემული.

◆ **„ციხის ძირის" ფერმა.** ბორჯომის მამულთან ყოფილ „ციხის ძირის" ფერმის აღსადგენად დაგზავნილმა კომისიამ ახალქალაქის მაზრაში შეიძინა დუხობორებისაგან 46 ჯიშიანი ძროხა და 12 ცხენი. განზრახულია შეძენილ იქნას 200 სული ძროხა.

◆ ეკატერინოვკიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ მოკლულ იქნა ცნობილი ყაჩაღი ფაშა ყურამიშვილი.

◆ დუშეთიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ იქ დაუჭერიათ და გასამართლებლად გადაუციათ ცნობილი ყაჩაღები ჩოხელი და ბარატაშვილი, რომელთაც სხვადასხვა მკვლელობა ბრალდებათ.

◆ **ცნობები თემთა მოხელეობის შესახებ.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ ცირკულიარული წინადადება მისცა ერობებს და ქალაქებს, რათა რესპუბლიკის გენერალურ შტაბის სამობილიზაციო ნაწილს წარუდგინონ ცნობები მაზრის შემადგენელ თემთა მოხელეთა შესახებ, რისთვისაც გაგზავნილია ერთნაირი შემუშავებული ფორმა (ცნობების შესადგენად).

◆ **დ. ნიჟარაძე.** სტუდენტი და საშუალო სასწავლებლის ყოფილი გამგე მიხ. თაქთაქიშვილი დაინიშნა თფილისის 1 საკომერციო სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოში განათლების სამინისტროს წარმომადგენლად.

◆ **მიწათმოქმედების სამინისტრომ** ყური უგდო „დედებისა და ბავშვთა დაცვის საზოგადოების" შუამდგომლობაზე, რომ მისთვის დროებით გადაეცეს ყოფილ ამიერ-კავკასიის ქალთა ინსტიტუტის შენობები კოჯორში საზოგადოების საჭიროებისათვის.

◆ **ვექილოვის გამგზავრება ბაქოში.** 30 იანვარს ჩქარი მატარებლით ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი მოადგილე საქართველოს მთავრობასთან ვექილოვი, სამსახურის გამო ბაქოში გაემგზავრა.

◆ **დრამატიულ საზოგადოების კრება.** დღეს, 1 თებერვალს, ქართულ კლუბის დარბაზში შესდგება დრამატიული საზოგადოების კრების გაგრძელება. მოხდება არჩევნები ახალი გამგეობის და სარევიზიო კომისიისა.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში** დღეს, თებერვლის 1 ეს, საღამოს 6 ს., კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქუჩა № 40) დაინიშნება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანია: 1) ს. გორგაძის მოხსენება—იოვანე დამასკელის მთავარი თხზულება „წყარო ცოდნისა" ქართულ მწერლობაში, და 2) ახალი წევრების არჩევა. კრებას გარეშეთაც შეუძლიან დაესწრონ.

◆ **ცეცხლის მქრობელი რაზმის განყოფილება.** ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა გახსნას ცეცხლის მქრობელ რაზმის განყოფილება ნიკოლოზის ქუჩაზე.

◆ **საეპარქიო კრება.** 30 იანვარს, საქართველოს კათალიკოსის თავმჯდომარეობით თფილისში გაიხსნა თფილისის საეპარქიო კრება. კრებაზე სხვათა შორის განხილული იქნება საკითხი ეკლესიის გამოყოფის სახელმწიფოსაგან.

◆ **სახელმწიფო თეატრი** დღეს, 1 თებერვალს [illegible] მონაწილეობით „კარმენი" 2 თებერვალს „ევგენი ონეგინი", სამშაბათს, 3 თებერვალს როგაჩევსკის ბენეფისი „ქალი და კატა".

◆ **სახელმწ უნივერსიტეტში** დღეს 5 ს., დანიშნულია ს. დ. სტუდენტთა ბიუროს, კავშირის გამგეობის, კოოპერატივის და სხვა ფრაქციების გამგეობის სოც.-დემოკრატ წევრებ ს კრება.

◆ **ოპერა ჯ. ქ. და გვარდიელებისათვის.** დღეს, დილის 12 ს. მეორედ მიდის სახელმწ. თეატრში ოპერა „კოტე და ქეთო".

◆ **საქართველოს წითელი ჯვრის** საზოგადოების სავადმყოფოს და უფასო ამბულატორიის გახსნა მოხდება დღეს, 1-ლ თებერვალს, 12 საათზე წითელი ჯვრის საკუთარ შენობაში (26 მაისის ქუჩა № 60 ანუ შესავალი თაიროვის ქ. ს. ხევიდან № 3).

◆ **ხელზე მოსამსახურეთა კავშირის** გამგეობა აცხადებს, რომ ორშაბათს ორ თებერვალს დილის 9 ს. ქალაქის შრომის ბირჟაში (მადათოვის, 6) დანიშნულია ამავე კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის ამხანაგობის მიერ გამოცემული პრ. ვოლფის „საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო", ს. ცინცაძის მიერ გადმოკეთებული და ხაჩაპურიძის — „ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია". ორივე წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, პირველი შეიცავს 135 გვერდს და ღირს 30 მან. მეორე 99 გვერდს, ღირს 15 მან.

კრებები

დღეს, დილის 10 ს. ბიუროს ახალ ბინაზე (ბებუთოვის ქ. № 22), დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მე 6 რაიონული კომიტეტის წევრთა არა-ჩვეულებრივი სხდომა.

— კვირას, 1 თებერვალს, შრომის ბირჟაში [illegible] დანიშნულია პროლეტარიის [illegible] კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

კვირას, 1 თებერვალს. 10 ს. მუშათა კოოპერატივის ბინაზე, მუშათა სასახლეში დაიწყება მუშათა კოოპერატივის რწმუნებულთა კრების გაგრძელება.

— კვირას 1 თებერვალს საღამოს 6 ს. სტუდენტთა სასადილოში დანიშნულია ს. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის კრება.

— კვირას, დილის 11 ს., სტუდენტების საერთო ბინაზე, ყოფილი სასტუმრო „ნო მონდი", ვორონცოვის ძეგლის ახლოს. შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დრამატიულ წრის სხდომა.

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲨᲘ.

22 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა.

— რკინის გზის ხიდების დაცვა დაევალოს სახალხო გვარდიელებს, მათი რკინის გზას კომენდანტისათვის დაქვემდებარებით.

— მოხსენება მიწათ-მოქმედების სამინისტროს უწყებათა მოსამსახურეების ჯამაგირების ახალი ნორმების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრებას.

— თფილისის სავაჭრო და სამოქალაქო სასწავლებლები გაერთიანებულ იქნას.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

სახალხო უნივერსიტეტის საბჭოში.

თანახმად სახალხ. უნივერს. გამგეობის დადგენილებისა, კვირას, 1 თებერვალს, მოხდება სახალხო უნივერსიტეტის საბჭოს, გამგეობის, ლექტორთა კოლეგიის და განყოფილებათა წარმომადგენლების კრება. განსახილველია სახ. უნივ. მოქმედებისა და მდგომარეობის საკითხი და ამხ. გოლდმანის მოხსენება.

სახალხო უნივერსიტეტის ქართ. განყოფილება.

მეორე სემესტრზე ლექციების კითხვა დაიწყება დღეს 1 თებერვალს. წაკითხული იქნება შემდეგი ლექციები:

მე 3 უბანში (ჩუღურეთში) 1) ვ. კოტეტიშვილი—„ფსიქოლოგია", 2) ილ. ჩაჩიბაიძე—„სახელოვან კაცთა ცხოვრება" და 3) მ. საყვარელიძე—„საქართვ. XIX ს. მწერლობა".

მე 5 უბანში (წმ. ნინო) 1) მ. შალამბერიძე—„ქიმია" და 2) ი. [illegible]შვილი—„ეკონომიური საკითხები".

ორშაბათს 2 თებერვალს:

მე-2 უბანში (ვერა) 1) ვ. ბარნოვი „ქართული მწერლობა" და 2) ს მესხი „სამშობლოს ცოდნა".

მე 4 უბანი (ორთაჭალა) 1) მ. შალამბერიძე „ქიმია" და 2) მ. საყვარელიძე „საქართველოს მე-19 საუკუნის მწერლობა".

მე 8 უბანში (ავლაბარი) 1) ვ. კოტეტიშვილი—„სოციოლოგია", 2) მ. ახრამიშვილი „ხელოვნების ისტორია" და 3) დოლიძისა „საქართველოს ისტორია".

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ადერბეიჯანი

ცენტრალური მუშათა კონფერენცია. 25 იანვარს ბაქოში შესდგა სხდომა მუშათა ცენტრალურ კონფერენციისა. დაესწრო 530 დელეგატი სხვა და სხვა რაიონებიდან. განსახილველი იყო საკითხი კოლექტიური ხელშეკრულების წარდგენისა და ამისთვის ბრძოლის მეთოდების გამომუშავების შესახებ. ორატორების სიტყვებიდან და შემდეგ კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციიდან სჩანს, რომ დელეგატების უმრავლესობა ბოლშევიკურ ხასიათითაა განწყობილი. კონფერენცია აღნიშნავს, რომ მუშათა უმწეო მატერიალურ მდგომარეობის მთავარი მიზეზი რუსეთისაგან მოწყვეტაა; ამიტომ იგი მოითხოვს მთავრობიდან ადერბეიჯანის დამოკიდებულება რუსეთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფერენციის აზრით, საჭიროა მუშებმა აიღონ ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება.

ამავე დროს ბაქოში ხდება „იტტიხადის" პარტიის ყრილობა. უკანასკნელმა წინადადებით მიმართა კონფერენციას გაეგზავნოს ყრილობაზე თავისი წარმომადგენლები კონფერენციამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება, რათა ამ გზით შესაძლებლობა მიეცეს მას თვალები აუხილოს იმ გლეხებს, რომელნიც მოტყუებულნი არიან „იტტიხადელების" მიერ და თავიანთი ინტერესების წინააღმდეგ მის გავლენის ქვეშ იმყოფებიან; კონფერენცია ყრილობაზე 3 წარმომ. გზავნის. როდესაც სხდომის შემდეგ წარმომადგენლები დაბრუნდნენ— შემდეგი განაცხადეს: ყრილობაზე 500-დე დელეგატი დაესწრო; მათ შორის მუსულმანი მუშებიც არიან. თავმჯდომარე [illegible]. მუშათა კონფერენციის წარმომადგენლებმა განუმარტეს გლეხებს, რომ „იტტიხადელები" აბრმავებენ მათ, რადგან ისინი თითქოს ელიან თურქეთის წითელ არმიას, რომელიც, მათის აზრით, განთავისუფლებენ ისლამს; ყრილობაზე შავ ნაციონალისტურ-შოვინისტურ აგიტაციის ეწევიან სომხებთან ომის გამოცხადების სასარგებლოდ; ყრილობამ უკვე მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მთავრობისაგან ომი გამოუცხადოს სომხეთს ზანგეზურის ამბების გამო ყრილობაზე, სხვათა შორის, წარმოდგენილია ერთი ოსმალეთის ფაშა. კონფერენციის ერთ-ერთ წარმომადგენლის სიტყვა, რაშიაც ორატორი მოუწოდებდა გლეხებს ემუშავნათ ბაქოს პროლეტარიატთან ერთად, — გლეხებმა ტაშით დაუჯილდოვეს. წარმომადგენელთა განცხადების შემდეგ კონფერენციამ გადაწყვიტა მოწოდებით მიმართოს ადერბეიჯანის გლეხებს და განუმარტოს მათ, ვინ არიან „იტტიხადელები" და რა შავ მიზნებს ემსახურებიან ისინი.

მთავრობის მოსალოდნელი კრიზისი. გაზ. „ტრ. ზნ."-ს გადმოცემით „მუსავატის" პარტიას განზრახვა აქვს შეიტანოს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის მტკიცე კურსი, რის გამო გაიწვევს მთავრობიდან შინაგან საქმეთა მინისტრს ხასმამედოვს? მისი ლიბერალობისათვის. პარლამენტის სოციალისტურმა ფრაქციამ მეტად არა სასურველად იცნო „მუსავატის" ასეთი ქცევა და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ამას მოჰყვეს სოციალისტების მთავრობიდან გასვლა. ამ შემთხვევაში მთელ პასუხისმგებლობას სოციალისტური ფრაქცია „მუსავატს" დააკისრებს.

სომხეთი

ერევნის განწმენდისათვის. ქალ. ერევანში კრიზისის შესამსუბუქებლად შინაგან საქმეთა საბჭომ შემდეგი განკარგულება მოახდინა: 1) გადატანილ იქნას ერევნიდან სხვა ადგილებში სამხედრო დაწესებულებები, რომლების გადატანაც დიდ დაბრკოლებას არ გამოიწვევს; 2) განთავისუფლებული შენობები გადაეცეს სარეკვიზიციო კომისიას; 3) კერძო პირთაგან ქალაქიდან განდევნილ იქნენ ისინი, ვინც ახლო მდებარე ადგილებიდან დასახლდნენ ერევანში და არავითარ არ არიან დაკავშირებული ქალაქზე, 4) დაევალოს იურიდიულ კომისიას გამოიკვლიოს ეს საკითხი კანონის თვალსაზრისით. აღნიშნულ განკარგულებათა სისრულეში მოყვანა დავალებული აქვს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგს.

გერმანია

გერმანია ინგლისის დამოკიდებულებისათვის. გაზ. „რაადის" ცნობით გერმანიის მთავრობას თხოვნით მიუმართავს ინგლისის მთავრობისათვის, რათა დაშვებულ იქნენ ლონდონში გერმანელი კორესპონდენტები. ინგლისის მთავრობამ „ჯერ სცნო შეუძლებლად" ამ თხოვნის დაკმაყოფილება. ამის საპასუხოდ გერმანიის მთავრობამ აცნობა ინგლისისას, რომ ყველა ინგლისელი კორესპონდენტები გაძევებული იქნებიან ბერლინიდან.

სპარსეთი

სპარსეთი და ხალხთა ლიგა. კლემანსომ დეპეშით აცნობა სპარსეთის პრემიერ მინისტრს, რომ სპარსეთი თავისი წარმომადგენლების სახით დაშვებულია ხალხთა ლიგაში და სთხოვა მას დაასწროს სპარსეთის მთავრობის თანხმობა. ამის საპასუხოდ პრემიერ-მინისტრმა ვოსუყ-ედ-დოვლემ აცნობა კლემანსოს, რომ სპარსეთი თანახმაა შევიდეს ხალხთა ლიგაში ყოველგვარ პირობების გარეშე.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

რესპუბლიკის მთავრობისა სამხედრო საქმეთა უწყების მიმართ.

№ 5.

27 იანვარი 1920 წ. ქ. თბილისი.

შენიშნულია, რომ მრავალი პირნი, რომელნიც არ იმყოფებიან რესპუბლიკის ჯარების ნამდვილ სამხედრო სამსახურში, მიუხედავად არა ერთხელ გაცემული განკარგულებისა, ატარებენ განმასხვავებელ ნიშნებს, რომელნიც დაწესებულნი არიან რესპუბლიკის არმიაში, აგრეთვე სხვადასხვა გვარ სამხედრო ფორმას.

ხელახლად ვადასტურებ, რომ სასტიკად აკრძალულია რესპუბლიკის საზღვრებში იმ პირების მიერ, რომელნიც არ იმყოფებიან რესპუბლიკის არმიის საშტატო თანამდებობაზე, რაიმე გვარი სამხედრო ფორმისა, ხოლო არმიაში მსახურ პირთ მხოლოდ ის ნიშნები დაიცვან, რომელთა ტარების უფლება აქვთ, თანახმად პირობების მოწმობა სათანადო დაწესებულებისაგან მიცემული.

ამ ბრძანების შესრულება სასტიკ პასუხის მგებლობით ევალება გარნიზონების უფროსებს და კომენდანტებს, რომელთაც მიუწერ მიიღონ მათგან დამოკიდებული ყოველგვარი ზომები ამ საკითხის მისაწესრიგებლად.

ეს ბრძანება არ ვრცელდება რესპ. საზღვრებში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენლებზე.

სამხედრო მინ. გრ. ლორთქიფანიძე.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲐᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ

ბოლო ხანებში საგრძნობლად გახშირდა ვაჭარ-მწარმოებელთა მიერ წარმოების შემცირება, ან და სრული ლიკვიდაცია. ამ გარემოებამ მიიქცია რა ყურადღება შრომის სამინისტრომ, წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს ამოერჩია სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში გამოარკვევდა ლიკვიდაციის მიზეზებს. არც ერთ ვაჭარ-მწარმოებელს უფლება არა აქვს მოსამსახურეთა შტატი შეამციროს, ან და წარმოება მოსპოს, თუ სალიკვიდაციო კომისიის მიერ წინასწარ დასტური არ მიიღო. კომისიაში შედის ქალაქის საბჭოს, სავაჭრო პალატის, პროფესიონალურ კავშირების, ვაჭარ-მრეწველთა მოსამსახურეთა კავშირისა და კოოპერატივთა კავშირის (უკანასკნელნი სხდომებს არ ესწრებიან) წარმომადგენელნი. თავმჯდომარეა იოსებ ირემაშვილი, მდივანი აკაკი ტყემალაძე. ხსენებულმა კომისიამ მუშაობა დაიწყო 1919 წლის 1 ოქტომბერს.—1920 წლის 31 იანვრამდის კომისიას ჰქონდა 15 სხდომა გაარჩია 47 საქმე. ხუთ შემთხვევაში ნება დართო წარმომადგენლებს მოსამსახურეთა შტატის შემცირება (სულ სამი კაცი და ორი ქალი), დანარჩენ შემთხვევებში შუამდგომლობა შტატის შემცირების შესახებ უარყოფილ იქნა, ე. ი. წინააღმდეგ განთავისუფლებისა დაცული იქნა დატოვებული 210 სული (117 კაცი, 93 ქალი). ყველ ჯამაგირების გადიდების შემდეგ სატარიფო პალატამ მიერ ახალი განცხადებები მიიღო. [illegible] და მის რაოდენობის შესახებ [illegible] მომრიგებელ კამერის [illegible] სია მას მ ჯამაგირის [illegible] სარის შესაბამისად [illegible] 2000 [illegible] იხარჯება, რაც ქალაქის გამგეობას და სავაჭრო პალატას აქვს თანაბრად დაკისრებული. კომისიის სხდომები ხდება სამშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საბჭოს კანცელარიაში. მისამართი—საბჭოს კანცელარია. აკაკი ტყემალაძეს

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

სომხეთის უნივერსიტეტის გახსნის გამო განათლების სამინისტრომ შემდეგი მისალმება გაუგზავნა:

ერევანი, სახალხო განათლების მინისტრს.

უღრმესის სიხარულის გრძნობით მივესალმები უნივერსიტეტს, უმაღლესი კულტურის ბუდის გახსნას. სომხის ერის ცხოვრებაში ეს ფაქტი მნიშვნელოვანი და დიდია; ცოდნა და სწავლა რესპუბლიკის ძალა და სიმტკიცეა. უნივერსიტეტის საშუალებით ხალხის ფართო წრეები ეზიარებიან მეცნიერებას და თვით ხალხი შესძლებს ღირსეული ადგილის დაჭერას კულტურისან ერთა ოჯახში. გაუმარჯოს სომხეთის უნივერსიტეტს, ვუსურვებ მას აყვავებას—წარმატებას.

სახალხო განათლების მინისტრის მაგიერი ცინცაძე.

ამ სალმების პასუხად ჩვენმა სამინისტრომ ერევნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

თფილისი. სახალხო განათლების მინისტრს. მადლობას გიძღვნით სალმისათვის. იმედი მაქვს ქართულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მეცნიერული აზრი შესძლებს გამოარკვიოს და გაშუქოს წინა აზიის ისტორიული, მიმდინარე და მომავალი ცხოვრების ძირითადი პრობლემები—ამ ორივე ხალხთა კეთილდღეობისა და საერთო საკაცობრიო მეცნიერების წარმატებისათვის.

განათლების მინისტრი ალხაზიანი.

ᲡᲐᲐᲓᲒ.-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

1 ივნისიდან 1 დეკემბრამდე 1919 წ. გადარიცხულია საადგილ-მამულო კომიტეტის ფონდში: 1) თფილისის მაზრაში 33 მამული. 4351 94 დეს. 8 წ; 2) სიღნაღის მაზ 76 მამ., 4057,17 დეს.; 3) თელავის 9 მამული, 74 39 დეს.; 4) ბორჩალოს 148 მამ., 35,548,98 დეს.; 5) ახალციხის 141 მამ., 74786,33 დეს.; 6) ახალქალაქის 33 მამ., 12145,81 დეს.; 7) ქუთაისის 99 მამ., 783 02 დეს.; 8) ლეჩხუმის 45 მამ., 35197,17 დეს.; 9) ოზურგეთის 186 მამ., 19939,23 დეს.; 10) რაჭის 12 მამ., 45 83 დეს; 11) სენაკის 93 მამ., 696 15 დეს.; 12) შორაპნის 145 მამ., 2435,50 დეს. სულ გადარიცხულია: 1023 მამული, 190061,52 დესეტინა.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

კვირას, 1 თებერვალს საღამოს 5 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) დანიშნულია შეერთებული კრება მუშათა კლუბების ცენტრალურ საბჭოს წევრებისა და ყველა მუშათა კლუბების წარმომადგენლებისა. ვინაიდგან ეს კრება მეტად მნიშვნელოვანია, სთხოვენ ყველა კლუბებს აუცილებლად გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები მანდატებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭო იძულებული იქნება ზრუნვა და ზედამხედველობა შეუწყვიტოს იმ კლუბებს, რომლებიც არ გამოგზავნიან თავის წარმომადგენელს; რასაც შედეგად ყოველივე მოჰყვება ის, რომ გადახდებათ გამართულ წარმოდგენებიდან და გასართობებიდან ჩვეულებრივი გადასახადები ქალაქის თვითმართველობის მიერ.

იგივე მოელის იმ მუშათა კლუბებს, რომელნიც არ გადაიხდიან 5 პროცენტ გადასახადს თანახმად მუშათა კლუბების კონფერენციის წარსულ წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებისა.

განსახილველია: გამგეობის მოხსენება, მიმდინარე კითხვები.

შრომის ლატარია.

ახლო მომავალში „დედათა და ბავშვთა დამხმარე საზოგადოების დედის" შენობაში [illegible] (რუსთაველის პროსპექტი) დილის 10 საათიდან გათამაშებული იქნება შრომის ლატარია.

სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებმა, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებმა, ექიმებმა, ინჟინრებმა, ვექილებმა, ბანკის მოხელეებმა, მეტრამვე ქალებმა და კაცებმა, ხელოსნებმა, მეზიმბეებმა, მეეტლეებმა, რესტორანების პატრონებმა, კლუბების ადმინისტრატორებმა, სახელმწიფო თეატრმა, არტისტულმა საზოგადოებამ, [illegible] თავიანთ სპეციალობიდან [illegible] შრო-

მა შესწირეს ხსენებულ საზოგადოებას.

მათი შემოწირულება გათამაშებულ იქნება შრომის ლატარიაში.

თვითოეულ შემომწირველთაგანმა ლატარიის ბილეთზე მოგვცა განსაკუთრებული ხელწერილი, თავიანთი მისამართით, სადაც მომგებს უფლება ეძლევა ისარგებლოს მათი შრომით უფასოთ ამა თუ იმ სახით. მინისტრები ვალდებულათ ხდიან თავიანთ თავს რიგს გარეშე მიიღონ ბილეთის მომგებნი, ექიმები—უფასოთ მიიღონ თავიანთი კაბინეტში, ინახულონ სახლში და საავადმყოფოში, კბილის ექიმები—კბილების დაპლომბვა, ახალის ჩადგმა, ამოღება, გაწმენდა, მკერავი ქალები—ტანისამოსის შეკეთება, მოდისტკები—ქუდების გადაკეთება, მონტიორები — ზარების გაყვანა—გასწორება და სხვა ტეხნიკური სამუშაოები, ვექილები—იურიდიული დარიგებები, მეტლეები—ქალაქში ერთი გატარება ეტლით, რესტორანები—ვახშამი სადილი ღვინით ან უღვინოთ, სახელმწიფო თეატრი, არტისტული საზოგადოება, კინემატოგრაფები—ბილეთები წარმოდგენებზე, აფთიაქები—წამლის უფასოთ დამზადება და სხვა.

სალატარიო კომისიაში შემოვიდა 1000 მეტი ასეთი მომგებიან ბილეთებისა. შემოწირულებანი კიდევ შემოდის, რომ საზოგადოებას შეეძლოს მომგებიან ბილეთების გაცვლა, იქვე მოწყობილია „შრომის ლატარიის მომგებიან ბილეთების გაცვლის ბიურო", რომელიც იმუშავებს ლატარიის გათამაშების შემდეგ 3 დღე კაფე „ინტერნაციონალში" 12 დან საღამოს 8 საათამდე.

სახალხო გვარდიაში

სამტრედია. 22 იანვარს სოფლის შტაბის ინიციატივით შესდგა კრება სამტრედიის ყველა ქვე რაიონულ სახალხო გვარდიის რწმუნებულთა. გასარჩევათ იყო შემდეგი კითხვები. 1) რწმუნებულების დანიშვნა თანახმათ რესპუბლიკის სახ. გვარდიის ყრილობის გადაწყვეტილებისა. 2) რწმუნებულების მუშაობა ქვე-რაიონულ შტაბების მოსაწყობათ. პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს სოფლის შტაბის თავმჯდომარე ა. ნინუა, რომელიც აცნობს კრებას სახალხო გვარდიის ყრილობის გადაწყვეტილებას, რომლის ძალით სამტრედიის სოფლის შტაბს ეკუთვნის ოთხი რწმუნებული და ოთხიც კანცელარიის მოხელე. ეს პირნი მიიღებენ ჯამაგირს და მათ დაევალებათ სახალხო გვარდიის ორგანიზაციის სასურველათ მოწყობა. კრება შემდეგ დასკვნამდე მივიდა: ვინაიდან რწმუნებულთა რიცხვი ძლიერ ცოტა არის, ხოლო საზოგადოება კი ბევრი და ისინი ისეთ ცენტრს ვერ მონახავენ, რომ ყველა საზოგადოები კმაყოფილნი დარჩნენ, ამისათვის ის თანხა, რომელიც რწმუნებულთა შესანახათ არის გადებული, განაწილდეს პროპორციის მიხედვით ყველა უკვე ქვე-რაიონულ შტაბების წარმომადგენელთა შორის და ამ უკანასკნელთ დაევალოს მეტი ენერგიით და თავდადებით მუშაობა. ამ კითხვის გამორკვევის შემდეგ მეორე კითხვა თავის თავად მოიხსნა.

ა. მანუჯაშვილი

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 25 იანვარს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, 2) იდეიურ-ფინანსიური მუშაობა კოლექტივისა, 3) კოლექტივის რეორგანიზაცია, 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. ს. თევზაძემ. მან დაწვრილებით გააცნო საზოგადო კრებას თფილისის კომიტეტისა და რაიონის ორგანიზაციების პარტიული მუშაობა.

მესამე რაიონულ კოლექტივის იდეიურ მუშაობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. მ. წიწვიძემ. მან აღნიშნა უძნელესი მუშაობა ავლაბრის რაიონში, სადაც დაქსაქსულნი იყვნენ ძალები. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მესამე რაიონულ კოლექტივს უმთავრესი მუშაობის სიმძიმე გადაუტანია პარტიულ მუშაობისაკენ, მოუწყვია იაჩეიკები ქარხანა „მირზოი"-ში, არამიანცის საავადმყოფოში, ქარხანა „ლონში", სამხედრო-სახურსათო წისქვილში კარლინსკის ქარხანაში და სხვა. გაუმართავს ქარხნებში დისკუსიები და მოხსენებები პოლიტიკური ხასიათისა. კოლექტივს გაუმართავს აგრეთვე ლექციები სხვა-და-სხვა საკითხებზე, ივლისში მოუწყვია პარტიული სკოლა, მესამე პარტიულ სკოლას ვერ ჩაუყრია მტკიცე საფუძველი ინტელიგენტური ძალების სიმცირის გამო. კოლექტივს გადაუწყვეტია აგრეთვე მოეწყო მოწინავე მუშათათვის პროპაგანდისტ-აგიტატორთა კურსები, სადაც შესაძლებელი ამხანაგები მომზადებულიყვნენ თეორიულად, მაგრამ ეჭვიც ხელმძღვანელ ინტელიგენტურ ძალების სიმცირის გამო მიზანი ვერ განხორციელებულა. კოლექტივს უწარმოებია კულტურული მუშაობა, გაუხსნია სახალხო უნივერსიტეტი, მუშათა კლუბი, ახლო მომავალში კოლექტივის ხელმძღვანელობით გახსნილი იქნება იაფ-ფასიანი სასადილო. გაუმართავს ლიტერატურული დილა, მოუწყვია ფრონტის დღე, „პროლეტარული ფრონტის დღე", „დედათა და ბავშვთა საზოგადოების" განყოფილების გადმოტანა ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, და ამავე საზოგადოებისთვის ყულაბებით ფულის შეგროვება. კოლექტივს ჰყავს კულტურული კომისია, ჰყავს აგრეთვე სააგიტაციო კომისია, რომელიც ავლაბრის რაიონის საწარმოო დარგებში დადის და აწყობს პარტიულ მუშაობას.

კოლექტივის არჩევის დროს ე. ი. მაისში რაიონში ითვლებოდა 30 პარტიული წევრი, რაც მეშვიდე კოლექტივი ნათლულში გადავიდა. მის შემდეგ რაიონში ითვლება უკვე პარტიის 700 წევრი. კოლექტივმა თავის გარშემო შემოიკრიბა აგრეთვე დაქსაქსული მკერავი ქალები ავლაბრის რაიონისა, რაიონში არსებობს ქალთა ორგანიზაცია, სადაც შედის 50 წევრი. ჰყავს თავისი წარმომადგენელი თფილისის ქალთა კომიტეტში. კოლექტივს მოუსმენია თფილისის კომიტეტიდან 17 მოხსენება, ჰქონია კოლ. 17 სხდომა, 15 ჩვეულებრივი, 2 არაჩვეულებრივი, კოლექტივის წევრები სხდომებს სისტემატიურად ესწრებოდენ გარდა ორიოდე გამონაკლისისა.

ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. იოს. ხუციშვილმა. მან კრებას გააცნო შემოსავალ-გასავლის ანგარიშები.

სარევიზიო კომისიის მოხსენებით 1 სექტემბრიდან კოლექტივს ჰქონია შემოსავალი 31 დეკემბრამდის საწევრო გადასახადებიდან, წიგნაკებიდან, ერთდროული გადასახადებისაგან, შემოწირულება ამხ. არ. უმბრიევისაგან, ლავრენტი ერისთავისაგან, ამხ. არაზაშვილისაგან სულ 8628 მ. გასავალი: საკანცელარიო ხარჯები, გაზეთები, განათება, გათბობა, მდივნის ჯამაგირი 7769 მ. 17 კ. პირველ იანვრისთვის კასაში რჩება 858 მ. 83 კ. მოხსენება სარევიზიო კომისიის დადასტურებულ იქნა.

რეორგანიზაცია კოლექტივისა. არჩეულ იქნენ: მიხ. წიწვიძე, ოლიმპ. ბაქრაძე, ნ. სხულუხია, იოს. ხუციშვილი, ანდ. ცომაიძე, მ. აბულაძე, დ. ახვერდოვი, ივ. გოგიტაშვილი, სიმ. ბეცაშვილი, დ. ჩუთლაშვილი, იოს. ზარამაშვილი, გ. გალუსტოვი, ან. გრიშენკო ს. ამბარცუმოვი, კ. ქელიძე, ს. თურმანიძე, კ. წერეთელი. კანდიდატებათ: ლ. ხეჩიაშვილი, არ. უმბრიევი, არ. ალაფოვი, ხუხუნაშვილი, ანდრიანოვი. სარევიზიო კომისია: ს. მურმანიძე, ლ. დოლიძე, ნიკო ბედენაშვილი. თფილისის კომიტეტში წარმომადგენლად ამხ. მიხ. წიწვიძე. კანდიდატი: სულუხია. კრებამ დასასრულ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: ს. ს.-დ. მ. პ. მე 3 რაიონის საზოგადო კრება ერთსულოვანი ალტაცებით ამჩნევს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას უმაღლეს საბჭოს მიერ, სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და ჩვენი ცხოვრების მესაჭეს პოლიტ. ბელადს ნოეს, რომ ჩვენი პარტიის მიზან-შეწონილმა პოლიტიკურმა ხაზმა გადაარჩინა საქართველოს დემოკრატია ფიზიკურ განადგურებას და შეანარჩუნა მას რევოლიუციის მონაპოვარი. ამიტომ, ლომ-გული გამბედაობით ფიცს სდებს იბრძოლოს საქართველოს მუშათა კლასის თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიას, გაუმარჯოს საერთაშორისო ოჯახს—ინტერნაციონალს!"

ვერხვი.

ს. ს.-დ. მ. პ. წიფის ორგანიზაციის წევრთა კრების მიერ გამორიცხულია პარტიის წევრობიდან სერაპიონ გოგნაძე. ყოველივე მოქმედება ჩვენი ორგანიზაციიდან მიცემული, დღეიდან გაუქმებულია.

თავმჯდომარე ერ. მაღრაძე
მდივანი ვლ. ახურაძე.

მუშათა შორის

ტყავეულობაზე მომუშავეთა პროფ. კავშირში. 23 იანვარს, ნაშუადღევს 3 საათზე შესდგა თფილისის ქარხნის კომიტეტისა და ტყავეულობაზე მომუშავეთა პროფ. კავშირის გამგეობის დელეგატთა შეერთებული სხდომა. დაესწრო 300-მდე წევრი. კრებას დაესწრნენ აგრეთვე პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ხელაძე, საბჭოს სეკრეტარი-ინსტრუქტორი ლაცაბიძე, საბჭოს მდივანი ჩხენკელი, სატარიფო პალატის წარმომადგენელი დობორჯგინიძე და ფინცხავა.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. არჩვაძე მოხსენებას აკეთებს და აცხადებს, რომ კრების მიზანია გადასჭრას საკითხი, თუ როგორ უნდა მოიქცენ მუშები იმის შესახებ, რომ წარმოების პატრონთა უმრავლესობას არ სურს ცხოვრებაში გაატაროს სატარიფო პალატის დადგენილება 60 პროცენტის მომატების შესახებ და სასურსათო ფონდში არ შეაქვთ 1000 მანეთი თითოეულ მუშაზე. ამის გარდა ზარგარიანცის, „სოგორისა" და დაბგების ტყავეულობის ქარხნის პატრონნი არ ატარებენ ცხოვრებაში შრომის დაცვის დეკრეტს, რის შესახებაც ორი კვირის წინად ეცნობა შრომის კომისარს, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მივაღწიეთ, მუშები კი ყოველ დღე თხოულობენ კავშირიდან მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. შემდეგ მომხსენებელი აცხადებს, რომ სირაძის სახელოსნოს მუშებს დღემდე არ მიუღიათ 40 პროცენტის მომატება და სასურსათო ბარათები. დასასრულ მომხსენებელი წინადადებას აძლევს კრებას მხარი დაუჭირონ მოხსენებას. დაბგების მუშათა წარმომადგენელი ა. ვართანოვი აცხადებს, რომ თუ მეპატრონენი ეხლავე არ მისცემენ მათ 60 პროცენტიან მომატებას, მუშები იძულებული იქნებიან გაფიცვა გამოაცხადონ.

პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგენელი ამხ. ხელაძე არჩვაძის მოხსენებაში დაინახა ორი საკითხი, სახელდობრ, რომ წარმოების პატრონთ არ სურთ ცხოვრებაში გაატარონ სატარიფო პალატის დადგენილება 60 პროცენტის მომატების შესახებ და სასურსათო ფონდში არ შეიტანეს 1000 მანეთი და რომ ზარგარიანცი და სხვა ქარხნის პატრონი ცხოვრებაში არ ატარებენ შრომის დაცვის დეკრეტს. ამ კითხვის გადაჭრისათვის, ამბობს ორატორი, საჭირო არ იყო კრების მოწვევა, არამედ—კავშირის გამგეობას უნდა მიემართა საბჭოსათვის და უკანასკნელი მიიღებდა შესაფერ ზომებს. მაგრამ ეს არ მომხდარა და ამაში დამნაშავეა კავშირის თავმჯდომარე და მდივანი, რომელნიც თავიანთ დანიშნულებას არ შეეფერებიან, ვინაიდან მათ არ სცოდნიათ პროფესიონალური მოძრაობის წესები. ორატორი წინადადებას აძლევს კრებას ნუ მიმართავენ გაფიცვას და ხსენებული საკითხები გადასცენ გადასაჭრელად საბჭოს.

გამგეობის წევრი ამხ. კარაკაშელი, აცხადებს, რომ ხელაძე ამტყუნებს რა კავშირის თავმჯდომარესა და მდივანს, ამით შეურაცხყოფა მთელ გამგეობას; რომ მათ არ იციან პროფ. მოძრაობის წესები. თუ გამგეობამ არ მიმართა საბჭოს ეს მხოლოდ იმიტომ, რომ წარსული 1919 წლის 30 დეკემბრის მაგალითმა ჩვენ გვაჩვენა, რომ საბჭო ღირსეულად არ იცავს ტყავეულების ქარხანაში მომუშავეთა პროფ. კავშირის ინტერესებს, ვინაიდან საბჭოს დღემდე კიდევ არ მიუღია ზომები მეპატრონეთაგან სასურსათო ფონდში 1000 მანეთის შემოტანის შესახებ, ამისათვის შრომის დაცვის დეკრეტის ცხოვრებაში გატარებისათვის ბრძოლის ასეთი მეთოდი მიზან შეწონილი არ არის.

სატარიფო პალატის წარმომადგენელი დობორჯგინიძე კარაკაშელის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობს, რომ გაფიცვას უნდა მივმართოთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა საკითხის მშვიდობიანათ დამთავრებისათვის ყოველივე ზომები ამოწურული იქნება და რომ გაფიცვით ყოველთვის ვერ მოიგებენ მუშები და ამიტომ მშვიდობიან გზით უნდა გადაწყდეს საკითხი.

საბჭოს მდივანი ჩხენკელმა მიუთითა, რომ ეს კრება მოწვეულია გაუგებრობის გამო, ვინაიდან აქ დასმული საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა იმ გზით, რომელზედაც მიუთითა ამხ. ხელაძემ. ასეთ პირობებში არიან სხვა კავშირების მუშები, და ამისათვის ეს მუშები არ უნდა გამოეყოფოდნენ თფილისის სხვა მუშებს და ავტონომიურათ არ უნდა ემოქმედნათ. შემდეგ ჩხენკელი მხარს უჭერს ხელაძის აზრს.

არჩვაძე აცხადებს, რომ მუშათა კანონიერ მოთხოვნილებას მეპატრონენი არ აკმაყოფილებენ და ვინაიდან მათ სხვა გზა არა აქვთ, ისინი იძულებული არიან თავიანთი საშვალებით იბრძოლონ. ის წინადადებას აძლევს კრებას შეწყვეს კამათი. კამათი შეწყდა. ლაცაბიძეს შეაქვს წინადადება მიიღონ შემდეგი რეზოლუცია: ტყავეულობაზე მომუშავეთა კავშირის გამგეობისა და დელეგატების შეერთებულმა სხდომამ გაარჩია საკითხი 60 პროცენტის მომატების და შრომის დაცვის დეკრეტის ცხოვრებაში გატარების შესახებ, დაადგინა: ხსენებული საკითხები გადაეცეს კავშირთა საბჭოს ახლო მომავალში ცხოვრებაში გასატარებლად. არჩვაძეს შეაქვს ასეთი რეზოლიუცია: იმ მეპატრონეთ, რომელთაც დღემდე არ დაუკმაყოფილებიათ მუშათა მოთხოვნილება, წინადადება მიეცეთ დელეგატების საშვალებით 26 იანვრამდე დააკმაყოფილონ მუშათა სამართლიანი მოთხოვნილება. წინააღმდეგ შემთხვევაში მუშებს უფლება ეძლევათ გაფიცვა გამოაცხადონ. თავართქილაძე იზიარებს რა ლაცაბიძის წინადადებას დასძენს, რომ თუ საბჭო ხუთი დღის განმავლობაში არ მიიღებს ზომებს მუშათა სამართლიან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მუშებს უფლება ეძლევათ გაფიცვა გამოაცხადონ. ხმის უმეტესობით მიღებულ იქნა არჩვაძის რეზოლიუცია. კრება დაიხურა საღამოს 5 საათზე.

პროვინცია

ზესტაფონი. 23 იანვარს საკრებულოში შედგა სახალხო უნივერსიტეტის დამფუძნებელი კრება. კრებამ აირჩია დროებითი გამგეობა 5 კაცისაგან შემდგარი. კოტე ბუაჩიძე, მიხა ტაბატაძე, ვლადიმერ ხიდიძე, ნიკოლოზ კვინიკაძე და კოტე ანთაძე.

28 იანვრის ქალაქის საბჭომ დაადგინა: ორი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა ყველა სავაჭრო-სამრეწველოებზე იქნან წარწერები ქართულათ.

1 თებერვალს დილის 10 ს. მაზრის კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. შორაპნის სამაზრო კომიტეტის ჩვეულებრივი კრება. განსახილველია ფრიად საჭირო კითხვები. პრეზიდიუმი სთხოვს კომიტეტის წევრებს დაესწრონ აღნიშნულ კრებას.

ნიკა.

ს. სართიჭალა. იგრის თემის გამგეობამ რა მიიღო ცნობა თფილისის მაზრის ერობის გამგეობისაგან დეპეშა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, მაშინვე შეუდგა ამ ბრწყინვალე დღის მოწყობას. თემმა დღესასწაული გადაიხადა 18 იანვარს სადგურ „იორიან", სადაც იყო ლამაზი სურათი. ჯერ უმთავრესათ სათაურში ქართული ასოებით მწვანე ფოთლებით „საქართველოს გაუმარჯოს", შემდეგ ორი ეროვნული დროშა, მათ შორის წმინდა გიორგის ღერბი. მის დაბლა ცოცხალი სურათი—ქართველი დედა ხელგაპყრობილი ზეცისაკენ, წინ ედგა აკვანი, რომელსაც სდარაჯობდა ორი ახალგაზრდა ეროვნულ ტანისამოსში. შემდეგ იდგნენ 2 მუშა ხელი ხელ ჩაკიდებული, მეორე ხელში ჩაქუჩი, რომელნიც სცემენ გრდემლს, სურათი გვიხატავდა მოქალაქე და სოფლის მუშის მჭიდრო კავშირს, რომელთაც ეყარათ ცალ მხარეზე სამეურნეო იარაღი, ცალ მხარეს კიდევ მჭედლის იარაღი. სურათი იყო მეტად ლამაზი, რომელსაც მოჰყავდა აღტაცებაში მგზავრები რკინის გზით მიმავალი კახეთისაკენ, იგრის თემის ფარგლებში მცხოვრებნი და სხვანი.

დღესასწაულში მხურვალე მონაწილეობას იღებდა სართიჭალის ინტელიგენცია, თემის გამგეობის წევრები ვანო მაისურაძე, მიხა ჯიღაური, რომელთაც ხელმძღვანელობა გაუწიეს მიტინგს და უმთავრესათ იმ ცოცხალი სურათის ამსრულებელი ქ. იულიან ნარიმანიშვილი და ინსტრუქტორმა არჩილ თუხარელმა, რომელმაც მოაწყო ეს ულამაზესი ცოცხალი სურათი.

ივრისხეველი.

სოფ. ეწერი (სუქ. საზ.) ეს სოფელი მდებარეობს მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. წყალდიდობის დროს მდინარე დიდ ზარალს აყენებს სოფელს, რის გამო მცხოვრებთა სურვილია მდინარეს დამბა გაუკეთდეს. გურიის უკვე მიღებია ზომები რიონის მარცხენა ნაპირის გასამაგრებლად, მარჯვენას შესახებ კი ჯერ არაფერი ისმის. აღსანიშნავია, რომ წყალდიდობის დროს მეტი ზარალი მარცხენა სოფელს [illegible] მოდის. განადგურებულია და ავერილი სოფ. წალიკარი. ასეთივე ბედი მოელის ეწერს, კოდორს და სხვებს, თუ დამბა გაყოლებული არ იქნა მდინარის მარცხნით. მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ მარცხენა ნაპირთან ერთად მარჯვენასაც არ გაუყოლოთ დამბა. ერობამ და ყველა იმათ, ვისაც ეს ეხება, უნდა მიიღონ სასწრაფო ზომები, რათა ერთ მხარეს გადავლებულმა წყალმა არ წალეკოს მეორე დასახლებული ნაპირი.

ნ. გუგუა.

წერ. რედაქციის მიმართ*)

„ერთობის" 276 №-ში მოთავსებულია წერილი ექიმის თანაშემწის თედორე ჯინჭარაძისა, სადაც ავტორი ამოფარებული რა ნიღაბში, როგორც კავშირის თავმჯდომარე, ყალბ ცნობებს აწვდის საზოგადოებას და ცდილობს სხვისი პიროვნების დამცირებით თავის გამართლებას. იგი ამბობს: 1) ფერშალმა იპოლიტე ახალაიამ შემოიტანა კავშირში საჩივარი და მას (ჯინჭარაძეს) და მის ამხანაგებს ყურადღება არ მიუქცევია, 2) ახალაიას გამოუჩნდა თანამოზრე ფერშალი ვახტანგ ჩიჩუა, რომელმაც ახალაიას ციხეში დამწყვდევის შემდეგ აწარმოვა საქმე, 3) საკმარისათ მიაჩნიათ ექვსი კაცის ჩვენებით და სხვა...

რომ ყველა ეს ცნობები არ არის სიმართლე, ამას დავამტკიცებ ფაქტებით: 1918 წელს მარიამობისთვეში ფერშალმა ახალაიამ სამკურნალოს ყოფილი ფერშლის თედორე ჯინჭარაძის შესახებ კავშირში შემოიტანა განცხადება, რომ პატიმრებს დაუდგინია ჯინჭარაძის ციხიდან გაძევება, რის შემდეგ ჯინჭარაძე გასულა სამსახურიდან. ასეთივე წერილი იყო მოთავსებული გაზ. „სოციალ-დემოკრატის" 1 №-ში მოქალაქე ს. აროშიძის მიერ, რომლის შინაარსს იმავე გაზეთის თავის საპასუხო წერილში ბ-ნი ჯინჭარაძე გვერდს უხვევს, კავშირის გამგეობამ დაადგინა ჯინჭარაძის საქმის გამორკვევა და გამოძიება დამავალა მე (იხ. ოქმი № 3, სექტ. 30, 1918 წ.) მე ჩავატარე თვით ჩვენებები ყველა იმ პირთ; ვინც დაასახელა მომჩივანმა ბ. ჯინჭარაძემ და აგრეთვე მასაც, სადაც ის არ უარყოფს, რომ მან ტუსაღებმა წინადადება მისცეს დატოვებინა ციხეში სამსახური. გამოძიების შემდეგ საქმე გადაეცა სინიდისის სასამართლოს, რომელმაც ვერ გაამართლა იგი (იხ. ოქმი № 5). 1919 წლის 29 აპრილს კავშირის საზოგადო კრებამ შეიწყნარა ჯინჭარაძის თხოვნა და საქმე ხელ-ახლა გასარჩევად გადასცა სინიდისის სასამართლოს. (იხ. ოქმი № 1) როგორც სჩანს, ჯინჭარაძის საქმეს აწარმოებს კავშირი და არა მე, როგორც ამას ბ-ნი ჯინჭარაძე ბრძანებს. რაც შეეხება ჯინჭარაძის მოთქმას, რომ მას და მის ამხანაგებს საჩივრისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, საკითხავია—ნეტავ რომელ ამხანაგებზე ბრძანებს, როცა კავშირი და მისი გამგეობა აწარმოებს საქმეს, რასაც მოწმობს ოქმი № 3,—№ 1. აგრეთვე სიმართლეს არ შეეფერება, რომ ექვსი კაცის ჩვენებით უნდათ საქმის გარჩევა. ამ სტრიქონებით სურს ჯინჭარაძეს შთაბეჭდილების მოხდენა, თორემ კარგათ იცის მან, რომ სასამართლო თითქმის ერთი წელიწადია, რაც ამ საქმეს არჩევს, რომ რაც შეიძლება მეტი ცნობები შეკრიბას სასამართლომ ბევრს დაჰკითხა, ხოლო ექვსი კაცის ჩვენება რაც ისე აშინებს ბ-ნ ჯინჭარაძეს, დამატებაა სხვა მოწმეების ჩვენებაზე. ამ საქმეზე ბევრს არაფერს ვწერ, რადგან მოკლე დროში სინიდისის სასამართლო გაარჩევს საქმეს და უფრო ნათლად გამოირკვევა სინამდვილე.

ვახტანგ ჩიჩუა.

მადლობის წერილი გორის მესამე ქვეითა ათასეულის ტყვიის მფრქვეველთა გუნდს.

თქვენს შორის შეგროვილი, გიორგი ილარიონის ძე ქერქაძის მიერ, 1520 მ. სოფ. გორა-ბერეჟოულის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს სასარგებლოდ მივიღეთ, რისთვისაც ხსენებული სამკითხველოს გამგეობა ღრმა მადლობას გიძღვნით.

მონდობილობით კ. ფუნგაძე.

ცნობები

1917 წ. 10 მაისს, ქ. ირკუტსკიდან ჩამოვიდა კატორღიდან განთავისუფლებული პავლე იოსების ძე ოდიშარია. 1918 წ. მსახურობდა თფილისის მილიციაში. თუ ვინმემ იცის მისი ეხლანდელი ბინადრობა, გთხოვთ მაცნობოთ ფოთის მილიციის სამმართველოში ვალოდია ორაგველიძეს.

---

*) ეს წერილი შემთხვევით დაგვიანებით იბეჭდება. რედაქცია ამ საგანზე ამით ათავებს კამათს. რედ.

განცხადებანი

საჭიროა მთავარი ბუხგალტერი

სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო, ქართული ენის ცოდნა. პირობები შეთანხმებისამებრ.
გორის ქალაქის გამგეობა.
(375—2—1)

თფილისის სამაზრო ერობის
ტეხნიკური განყოფილება
ყიდის საჯარო ვაჭრობით
ორ ცხენს
კვირას 1 თებერვალს 12 საათზე (ელისაბედის ქ. № 196).
(380—1—1)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
ვ. ვ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. პლევრის ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი მ. ბ. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 81, [illegible] ახლო.

ექიმი ა. დ. [illegible]
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნორდ"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარს. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. სიფილ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
ვ. მ. ამახარაძე—10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. აცრა.
მ. მ. ავეტიკიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კაპუკიან-ხეხუმაშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბოხრეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინემატოგრ. „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები.
(თ. 218)

ექიმი გ. მ. მჭინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი. ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმაილოვის ქუჩა № 28.
(თ. 2065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით. ავადმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღებს ავადმყოფებს. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ა. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 სათ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი [illegible]
სპეციალურად: სიფილისი და [illegible] (შეზხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

[illegible] № 1.